645/1961/3



# საქართველოს ქალი

№ 7 ივლისი 1961 წ.

645/3
33

ეროვნული ბიბლიოთეკა



თამარ აბაკელია. ილუსტრაცია ვაჟა ფშაველას
პოემისათვის „ეთერი"

გარეკანზე ვაჟა ფშაველა მხატვარი ლ. შენგელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა ფშაველა

# კიდევაც ვნახავ გაზაფხულს

(სიმღერა)

კიდევაც ვნახავ გაზაფხულს,
ყელმოღერებულს იასა,
სიკვდილის სიცოცხლედ მქცეველს,
იმის სიტურფეს ღვთიანსა,
ამწვანებულსა მთა-ბარსა,
დამწყაზრულს, ყვავილიანსა.

კიდევაც ვნახავ ცა სჭექდეს,
თოვლის წილ წვიმა ცვიოდეს,
ანოყივრებდეს მიწასა,
მდინარეები ხვიოდეს,
აღარვინ იტანჯებოდეს
და აღარცვისა ჰშიოდეს;
სიმართლის გამარჯვებასა
მთაზე არწივი ჰყიოდეს;
მეც მას ბანს ვეუბნებოდე,
გული აღარა მტკიოდეს.

გუშინწინ ვნახე, გუშინაც,
გველი სწამლავდა იასა,
აშლიდა შხამსა და გესლსა,
ვერ კი აძლევდა ზიანსა.
დღეს ვხედავ, ია მთელია,
სუნნელოვანი, ნაზია,
ვუცქერ და ვამბობ იმასვე:
რა ტურფა, რა ლამაზია!
გველი დაღოღავს მუცლითა,
ახრჩობს ბოღმა და ბრაზია.

კიდევაც ვნახავ, უხვადა
ვარდნი, იანი ჰყვაოდენ,
ნაცარ-მტვრად იყვნენ ქცეულნი,
ვინაც გუშინა ზვაობდენ;
შხამის და გესლის მთესველნი
მოისპენ, არარაობდენ,
ჩვენის სიკვდილის მსურველნი
ყორნები ველარ ჩხაოდენ!

დაჰბეროს სიცოცხლის სიომ
მომაკვდავს არემარესა,
გაუათასდეს სინათლე
ცაზე მზესა და მთვარესა,
უხვადა სძღვნიდენ წყალობას
ამ ჩვენს დაჩაგრულს მხარესა.
ჩვენც, მსხვერპლნი ძალმომრეობის,
ცრემლს აღარ ვღვრიდეთ მწარესა,
ჩიტების ტკბილი გალობა
ისმოდეს ყოველ მხარესა.

ვიხილავ სანატრელ სახეს,
რომ ამდვარიყოს მკვდრეთითა,
გვერდს ედგნენ მისნი ზვარაკნი,
გაფიცულები გვერდითა
ჭაბუკნი თავდადებულნი,
ტრფიალით მეტისმეტითა,
ტანს უმშვენებდეს წყლულები
ერთგულ მამულის შვილებსა,
ანგელოზები დაფნისას
გვირგვინს ადგამდენ გმირებსა.

(იანვარი, 1906 წ.)

8516



ვ. ოჩიაური. ილუსტრაცია ლექსისათვის „ახალგაზრდა მგოსნებს"

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და
ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალი

№ 7 ივლისი 1961 წ.

გამოცემის მეხუთე წელი

... მარქსის სახ. საქ. სახელმწიფო
რესპუბლიკური ბიბლიოთეკა



ვაჟას სახლმუზეუმი

# ვაჟას მთაში

ვაჟას მთა!

ვაჟას გზა!

ვაჟას გზა იქიდან იწყება — ჩქარი არაგვი დინჯ მტკვარს რომ მიესალმება, მის ტალღებს შეერევა...

მერე აჰყევი არაგვის ნაპირს — ალაგ რომ რიყეზე გაფანტულა, ალაგ ლოდებზე რომ მოხტის, ქაფს ირევს.

არაგვს ტანწერწეტა ალვები ამშვენებენ, ვერცხლისფერი ვერხვები დაშრიალებენ, ტირიფებს თმები შიგ ჩაუშლიათ...

არაგვის ატეხილ ჭალას სანუკვარი ჩრდილი გაუფენია.

რა ძვირფასია ეს ყველაფერი!

აქ ჩამოუვლია დიდ ვაჟას ცხენით, ფეხით.

აქ შეჩერებულა, არწივის თვალით აუხედია მშობელი ქედებისათვის, არაგვის ჭალაში ალალი სუფრა გაუშლია.

მჟავე წყალი ირემივით შეუსვამს.

იცოდა ვაჟას გულმა:

დრო მოვიდოდა, ქართველი ხალხი მის ნაკვალევს აჰყვებოდა მთიან ჩარგალში, მგოსნის სახლკარს სიყვარულით შეავლებდა თვალს.

დღეს ვაჟას დღეებში ჩარგალში იყრის თავს ქართველობა, ბარისახოდან ხევსურები, გუდამაყრიდან მთიულები, ყაზბეგიდან მოხევეები ჩარგლისკენ მიაბიჯებენ. იქ გამართავენ დოღს და შუშპარს, სახალხო ზეიმს გადაიხდიან.

ხალხის შვილი იყო მგოსანი, ხალხს დაუტოვა თავისი საგანძური, ქონება: უკვდავი პოემები, ლექსები, მოთხრობები...

ხალხმაც თავისი სიყვარული ძეგლად დაუდგა.

ფასანაურელმა გოგონამ უმაღლეს სასწავლებელში შესვლისას, მისაღებ გამოცდებზე საწერად საყვარელი, ყველაზე ახლობელი თემა შეარჩია: „სამშობლოს სიყვარული ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“. ქალიშვილს ნაწერი მოუწონეს. გაკვირდნენ კიდეც — რატომ ფილოლოგიური ფაკულტეტი არ ირჩიეო. მაგრამ ვენერა შერგილაშვილმა თავი გაიქნია — მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი მემინდვრე აგრონომი გამხდარიყო. მერე მშობლიურ მთას დაბრუნებოდა...

ნაზმა, ახალგაზრდა აგრონომმა ქალმა ხალხს თავი შეაყვარა. დღენიადაგ მინდორში იყო, იქ ტრიალებდა.

დღეს ვენერა პარტიის დუშეთის რაიკომის მეორე მდივანია. რაიონში მემინდვრეობის, მესიმინდეობის, თავთავიანი კულტურის განვითარებას ადევნებს თვალს, ხელმძღვანელობს. ახლა ჩარგლამდე გზის გაფართოება მიმდინარეობს. ღელავს ვენერა: ვაჟას დღეებში მრავალ საპატიო სტუმარს ელიან, ამოვლენ, თვალს გადაავლებენ ვაჟას მშობლიურ მხარეს...

...ალმა მიმავალ გზას ცხვარი შეჰფენია. თეთრი ნაკადულივით მიიძვრის ფარა.

ფაფახიანი მწყემსები შოლტს ატყლაშუნებენ, ბომბორა ნაგაზები ერთგულად ასდევნებიან ფარას.

ყიზლარიდან ზაფხულის იალაღებისაკენ! ამ ცხვარში მრავლად ურევია ფშაველების ბარაქა.

აი, მანქანის ძარაზე ფშაველი ვაჟკაცი ამოიმართა. მგზავრებმა იცნეს, ხელი ჩამოართვეს.

— ცხვარი როგორ გყავს? — მაშინვე ეს კითხვა დაახვედრეს. იღიმება მწყემსი, თეთრ კბილებს აელვარებს.

მგზავრებში ჩარგლელი ქალი ურევია, ოთხმოცი წლის ნინო ხუცურაული. ვაჟას როგორ არ ვიცნობდიო! რამდენჯერ ვაჟას ჩემი გაკეთებული ხინკალი უგემია, რამდენჯერ თავად მას დავუპატიჟნივართ ხინკალზეო... ამაყი იყო ვაჟა, შიგადაშიგ ფიცხი, მაგრამ მუდამ სიმართლის მაძიებარიო.

აი, მაღაროსკარი.

ხუჭუჭა, ქოჩორა ქედები ოთხივ მხრიდან თავს წამოდგომიან.

აქაურ გოგონას აივანზე ფანდური გამოუტანია და ვაჟას სიმღერას აწკრიალებს.

გოგონას ვთხოვთ მარიამ ალუდაურის სახლი მიგვასწავლოს. მაგრამ მაღაროსკარელებმა გვითხრეს — დღეს მარიამი სოფელში არააო. სულაც არ უკვირთ უცხო სტუმრები რომ მარიამს ვკითხულობთ: ეს ქალიშვილი ხომ მთელს რესპუბლიკაშია განთქმული: მოწინავე მწველავი ქალი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მარიამ ალუდაური! იგი მაღაროსკარის კოლმეურნეობაში ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელია. მარიამმა საქვეყნოდ ცნობილი მერი კვაჭანტირაძე გამოიწვია შეჯიბრებაში, ვალდებულება იკისრა 2.100 ლიტრ რძეს მივიღებ თვითეული ხევსურული ძროხიდანო. ვალდებულებას გადააჭარბა მარიამმა — 2.470 ლიტრი რძე მიიღო...

სანდომიანი სახის მქონე ქალი ღიმილით გვიახლოვდება.

— იცნობდეთ, მაღაროსკარის შვიდწლიანი სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია.

— თქვენ ალბათ ფშაველი ბრძანდებით.

ქალი იღიმება.

— არა, მე ოჩამჩირიდან გახლავართ.

მერე ქსენია ხორავა გვიამბობს, როგორ ჩამოვიდა იგი მაღაროსკარში 23 წლის წინათ, ახალგაზრდა, ახალბედა პედაგოგი. პირველად შეუშინდა მთებს, ფშავის ხანგრძლივ ზამთარს. მაგრამ პატარა ფშაველები ისეთი მონდომებით დაეწაფნენ ცოდნას, ისეთი სიყვარულითა და მოკრძალებით შეჰყურებდნენ ქსენია მასწავლებელს, რომ გატყდა ქალი, გულით შეეთვისა აქაურ ხალხსა და გარემოს. მერე ოჯახიც აქ დაიმკვიდრა. აქ ააგო თავისი ბუდე.

ქსენია მასწავლებელს ხშირად აჰყავდა პატარები ჩარგალში. ხანდახან თავად, მარტო ესტუმრებოდა ხოლმე ვაჟას მეუღლეს — თამარ რაზიკაშვილს.

— ვაჟაზე ბევრი რამ უამბნია ჩემთვის თამარს.

აი, ერთი ეპიზოდიც:

კალოზე ყოფილან თამარი და ვაჟა. უცებ გაუხედია თამარს, სადღაც გამქრალიყო ვაჟა, აღარ ჩანდა.

უძახა თურმე თამარმა.

მერე დააგდო კალო და სახლისაკენ გაიქცა. პირველად სარკმლიდან შეიხედა: ვაჟა სამფეხა სკამზე ჩამომჯდარა, ხელში კალამი აუღია და რაღაცას წერს...

უხმოდ გამობრუნდა თურმე თამარი ისევ კალოზე...

— თამარ რაზიკაშვილი რომ სამაგალითო მეუღლე იყო ვაჟასი და ოჯახის ნამდვილი დედა-ბოძი ეს ხომ მთელ საქართველოში არის ცნობილიო, — სიყვარულით დააბოლოვა თხრობა მაღაროსკარელმა პედაგოგმა.

ძნელია აუღელვებლად გაცდე მაღაროსკარს და ჩარგლისკენ გადაუხვიო. თუნდ ასჯერ აგევლოს ეს ბილიკი, თუნდ ასჯერ დალაპარაკებოდე ვაჟას თანამედროვეს — ოსა ზურაბაშვილს, თუნდ ასჯერ შეგესვას წყალი ვაჟას ეზოში, ღელავ, მაინც ღელავ.

და კიდევ ერთი რამ: აქაურები, ვაჟას მომსწრენი ისე უბრალოდ, ადამიანურად უწოდებენ ვაჟას „ლუკას“, რომ გული აგიფართხალდება: თითქოს ახლა უფრო დაიჯერეო, რომ ლეგენდად ქცეული დიდი მგოსანიც ადამიანი იყო!

ვაჟას ეზოში აუცილებლად შემოგხვდებათ ვაჟას შვილიშვილი, ჩარგლის შვიდწლიანი სკოლის დირექტორი ალექსი რაზიკაშვილი. გვერდით ეზოდან აუცილებლად გადმოგხედავთ ჭაღარა კაცი — ბაჩანას ვაჟი, გიგლა რაზიკაშვილი. მას სიზმარივით ახსოვს ბიძა.

მერე ქვითკირით ნაშენ ოთახში შევხვალთ... აი, ამ ბუხართან იჯდა ვაჟა დაფიქრებული, ამ თოფით გადიოდა ტყეში, ამ ხურჯინში ულაგებდა თამარი საგზალს. ეს რქები ვაჟას მოკლული ირმისაა.

აქ წერდა,
აქ სუნთქავდა,
აქ დამღეროდა ფანდურს...

**ვაჟას საწერი მაგიდა**



ეროვნული ბიბლიოთეკა



„ჩარგლელი მწყემსი“ (ფოტოეტიუდი)

ვაჟას კარმიდამო ტყეშია ჩამჯდარი.
კუნელები თეთრად ჰყვავიან.
მოწკრიალებს პატარა ღელე-ჭიჭახევი.
ქვევით ჩარგლურა მოხტის.
მთის ჰაერი ფილტვებში ჯანსაღად იჭრება.

და ბუნებრივია, გიჩნდება სურვილი: გახვიდე ამ ეზოს გარეთაც, მოინახულო ჩარგლელები, ესაუბრო, შენ შენი უთხრა, იმათ თავისი.

ზევით, ფერმასთან გიორგი ანთაური და გიორგი რაზიკაშვილი შემოგვხვდნენ. ვაჟა არცერთს არ ხსომებია, მაგრამ გიორგი ანთაურმა ისე შემოხაზა ხელით გაღმა-გამოღმა ქედები, თითქოს ამბობდა, აი, თავად ვაჟა, აი მისი ბუნებაო.

მერე ლაპარაკი ახალგაზრდა მწველავ ქალებზე ჩამოვარდა. აქებდა ფერმის გამგე ნატო რაზიკაშვილს, ელო ზურაბაშვილსა და სალომე გურასპაულს. აი, თუნდაც ნატო რაზიკაშვილი. შარშან 15 ძროხა ჰყავდა გაპიროვნებული. ისე მოუარა, ისე უპატრონა პირუტყვს, რომ თითოდან 1200-ის ნაცვლად, 1504 ლიტრი რძე ჩამოწველაო.

ძალიან გვინდოდა ამ ქალიშვილების ნახვა, მაგრამ ფერმის გამგემ ჩაიცინა: თქვენ იმათ სად დაიჭერთ, ახლა ისინი მთაში არიან, სახუნის ველზეო.

ამ ლაპარაკში რომ ვიყავით, ცხენის ფლოქვების ხმა მოგვესმა. დაღმართზე ცხენს წინ მოუძღოდა ახალგაზრდა გოგონა.

— ელო! — შეეგებნენ გოგონას.

— გაიცანით, ელო ზურაბაშვილი.

ელოს ჯერ ჩვენთვის არ ცალოდა. მან მთიდან, სახუნის ველიდან ერთი კვირის ნაწველი კარაქი და ყველი ჩამოიტანა ფერმაში.

ლამაზ, ფშაველ გოგონას მთის მზე მოჰკიდებოდა სახეზე. მან მორცხვად გამოგვიწოდა ხელი და მერე ბევრი რამ გვიამბო თავის დობილებზე, მთის ფერმაში ასულ ფშაველ ქალიშვილებზე...

მას ჩარგლელები შემოეხვივნენ.

სიყვარულით, სიამაყით შევცქეროდით ამ მორიდებულ გოგონას, რომლის ცხოვრება სიმღერების, პოემების ღირსია...

უკან გამობრუნებულთ ქარწვიმა გვემგზავრება. შეშფოთებით შრიალებენ მურყნები, ვერხვები.

არაგვის ჭალაში თმებს იწეწავენ წნორები.

იქოჩრება, ბუბუნებს არაგვის ხეობა. და მაინც რა საყვარელია, რა ძვირფასია ბუნების სტიქიონს შერეული არაგვის ხეობა — იგი მქუხარე ვაჟას გვაგონებს!

**ნაზი კილასონია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა ფშაველა

# ფშაველი ჯარისკაცის წერილი

გულ-მკერდიც აგიყოვდება,
დედაო, ია-ვარდითა!
თვალებს ნუ ითხრი ტირილით,
გულს ნუ ისერავ დარდითა!
ხვალ ისევ ომში გვიწვევენ
გაკვირვებულნი გარჯითა,
თამარ დედოფლის ბარტყების
გულოვანობით, მაჯითა.
ვცდილობ, რომ საქართველოსა
ვუშველოთ ჩვენის ხარჯითა.
სამშობლოს ბედნიერება
არ გვსურს ვიყიდოთ ვალითა,
ნაღდს ვაძლევთ ჯანს და სიცოცხლეს,
ნამუსი დავიცავითა.
რუსეთში მყოფი ვნატრულობ,
სამშობლო ვნახო თვალითა.
ერთი რამ უნდა გაუწყო,
გავკვირვებულვართ ამითა:
როცა ომი გვაქვს ქართველის ჯარს,
ნათელი გვიძღვის ღამითა;
კაცი რამ ლურჯცხენიანი,
ამოღებულის ხმალითა,
მაღლიდან თავზე დაგვბრუნავს
ტურფა იერით, ტანითა.
სახე აქვს შავად მოცული
მას დიდის კაეშანითა.
ეს ჩვენი ჩუმი მფარველი
ლაშარის ჯვარად ვსცანითა.
როცა მისწყდება თოფის ხმა
და ზარბაზნების გრიალი,
გრძნობები დამიყუჩდება,
არ მესმის ბრძოლის ზრიალი,
ფიქრით შინა ვარ... საჩეჩლის
კბილების მესმის წკრიალი.
გიცქერ, მატყლსა სჩეჩ, ფართენას
ცრემლი გისველებს ტიალი!
ეგ ხო ჩემ საჩოხედ გინდა,
ნაკურთხი დედის ცრემლითა
არ გაიჭრება მახვილით,
არ დაიწვება ცეცხლითა.
რა დიდი ღამე გასულა,
შენ კი სძილ-ფხიზლობ კერაზე!
ეგ შენი გლოვა უფალმა,
ვსთხოვ, შაგიცვალოს მღერაზე!
მშვიდობით! დაჰკრეს საყვირსა,
კვლავ მეძახიან ბრძოლაზე:
საჩხუბრად, სისხლის საღვრელად,
თოფის, ზარბაზნის სროლაზე.
წეტავ, თუ არ გვატირებენ
ბოლოს ვაჟკაცურ შრომაზე!?
ნეტავ, თუ დაგვიფასდება
ქართველთა შვილებს ამაგი, —
ხრ იქცა საყოვ-ყორნედა
ჩვენი ლამაზი ალაგი.
მშვიდობით! დაჰკრეს საყვირსა,
კვლავ მეძახიან ბრძოლაზე:
საჩხუბრად, სისხლის საღვრელად
თოფის, ზარბაზნის სროლაზე.
მხნედ მივალ, ვერვინ დაგცინებს
ლაჩარის შვილის ყოლაზე.

1914 წ. 10 დეკემბერი.



ჩარგლის პეიზაჟი



ელო ზურაბაშვილი



ვენერა შერგილაშვილი

ფოტო დ. იაკობაშვილის

ეროვნული ბიბლიოთეკა



შვილებთან

# ქარხნის დირექტორი

საღამოხანს დაღლილი ბრუნდებით შინ სამსახურიდან. გადაიცვამთ ხალათს, შედიხართ სამზარეულოში და ვახშმის თადარიგს იჭერთ. ყველაფერი უბრალოდ ხდება: გაზქურის ჩამკეტს ოდნავ გადასწევთ, ასანთს გაჰკრავთ და სანთურებზე გაჩნდება ცისფერი ალი. ლამაზად მომინანქრებული ქვაბებით ადგამთ კერძებს. მალე ვახშამიც მზად არის. თქვენ კმაყოფილი ხართ, გულში ლოცავთ ამ მშვენიერი გაზქურის და ჭურჭლის გამკეთებელს, მაგრამ არ იცით, ვინ აკეთებს, ან სად.

თბილისში, ხუთწლედის ქუჩაზე, არის ქარხანა „გაზაპარატი". ვეება საამქროებში ასობით ადამიანი შრომობს. ყრუდ ბუბუნებენ ღუმელები, რიტმულად ხმაურობენ დაზგები. ქარხნის ეზოშიც განუწყვეტელი მოძრაობაა. ავტომანქანებს შემოაქვთ ნედლეული და გააქვთ შეფუთნილი მზა პროდუქცია. ყველა უბანზე შემოქმედებითი შრომა დუღს.

ამ უზარმაზარ ქარხანას თქვენსავით ოჯახის ქალი და მზრუნველი დედა — ეკატერინე ვლადიმერის ასული ალანია ხელმძღვანელობს. საშუალო ტანის, მოკრძალებული ქალია იგი. ლაპარაკობს დინჯად, მაგრამ მტკიცე ხმით. სახეზე ვაჟკაცური ნებისყოფა და ენერგია აქვს აღბეჭდილი. მართლაც ამოდენა ქარხნის გაძღოლა ხუმრობა როდია. თუ ხელმძღვანელი ხარ, არც ერთი წვრილმანი არ უნდა გამოგეპაროს. ზედმიწევნით უნდა იცნობდე წარმოების ეკონომიკას და ტექნოლოგიურ პროცესებს... დღე ერთია და ეკატერინე რამოდენიმეჯერ ჩამოივლის საამქროებს, მზრუნველად გაესაუბრება მუშებს, გაამხნევებს, ჰკითხავს ხომ არაფერი გიჭირთო. თუ სადმე უწესრიგობა შეამჩნია, საქმეს თვითონვე ჰკიდებს ხელს. ერთ სასაყვედურო სიტყვას არ იტყვის. ხან გაბნეულ დეტალებს მოუყრის თავს, ხან ღუმელის მძიმე კარებს მიხურავს. მუშა-მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამსახურეებს უყვართ თავიანთი დირექტორი. იციან მისი მორიდებული ხასიათი და ცდილობენ ყველაფერი წესრიგში იქონიონ.

ადრევე გაიცნო და შეიყვარა ეკატერინემ წარმოება. ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის სტუდენტი მე-5 სავაგონო უბნის ერთ-ერთ მოწინავე მუშადაც ითვლებოდა. მაშინ ეს ამბავი ყველას უკვირდა. ვერ წარმოედგინათ უმაღლესი განათლების მქონე უბრალო მუშად. ეს უწინ იყო. ახლა ასეთები უამრავია. თვითონ ეკატერინესაც ბევრი ახალგაზრდა ჰყავს ქარხანაში. კმაყოფილი სახით უცქერის დაზგებთან მოფუსფუსე ჭაბუკებს და ფიქრობს: „ჩამოყალიბდა ახალი ადამიანი. ისპობა ზღვარი გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის“. წუთით ჩაფიქრდება და მის მიერ განვლილ გზას იგონებს. მოსაგონარი და საამაყო კი მართლაც ბევრი აქვს.

ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, როცა 1940 წელს კომკავშირის სტალინის რაიკომის მდივნად აირჩიეს. ეს თარიღი სამუდამოდ ჩარჩა მეხსიერებაში ეკატერინეს, — იგი კომუნისტური პარტიის წევრი გახდა. მაშინ ოცდაორი წლის ქალიშვილი იყო. 1943 წლიდან კომკავშირის თბილისის კომიტეტის მდივნად მუშაობდა, მერე — პარტიის საქალაქო კომიტეტის ერთ-ერთი განყოფილების გამგედ. 1950 წელს აირჩიეს პარტიის სტალინის რაიკომის მდივნად. იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი ორგანიზატორი. დამთავრებული აქვს უმაღლესი პარტიული სკოლა. ყველგან, სადაც არ უნდა ყოფილიყო, უბრალო ადამიანების ღრმა სიყვარულს და პატივისცემას იმსახურებდა.

1958 წელს, თბილისის გაზიფიკაციასთან დაკავშირებით, მინანქრიანი ჭურჭლეულის ქარხნის ბაზაზე შეიქმნა ქარხანა „გაზაპარატი“, რომელსაც მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა დაეკისრა: გაზის ექსპლოატაციისათვის საჭირო აპარატურით უნდა უზრუნველეყო საქართველო და მოძმე სომხეთის სოციალისტური რესპუბლიკა. ამოცანის სირთულეს განაპირობებდა ისიც, რომ ჩვენში პირველად ინერგებოდა ამ სახის წარმოება. ქარხნის დირექტორად ეკატერინე ალანია დაინიშნა... მან მალე გამოიჩინა თავი როგორც კარგმა ორგანიზატორმა და წარმოების უნარიანმა ხელმძღვანელმა. წარმატებით აითვისეს ახალი პროდუქცია და საცდელად 500 ცალი გაზქურა დაამზადეს. შემდეგში ქარხანა მასობრივ წარმოებაზე გადავიდა და 1959 წელს გამოშვებული იქნა 15.000 ცალი, ხოლო 1960 წელს 18.000 ცალი გაზქურა. წელს ამ ციფრმა 25.000-ს უნდა მიაღწიოს. პარალელურად ქარხანა მომინანქრებულ ჭურჭლეულსაც ამზადებს. შარშან აითვისეს გაზის ავტომატური წყალგამთბობი. ეს ძალზე მოხერხებული და პრაქტიკული აპარატია: მოუშვებ ონკანს და განუწყვეტელ ნაკადად მოდის ცხელი წყალი. იძლევა სათბობის და დროის დიდ ეკონომიას.

მიმდინარე წელს გათვალისწინებულია აგრეთვე ახალი ტიპის სამზარეულო ჭურჭლის გამოშვება. იცის ეკატერინემ რა უფრო სჭირდება ოჯახს, რა უფრო ამსუბუქებს დიასახლისის შრომას. ამიტომაც დიდი მონდომებით ეკიდება საქმეს. ქარხანა ერთერთი მოწინავეა ჩვენს რესპუბლიკაში. გადაჭარბებით სრულდება წლიური გეგმები, იზრდება რენტაბელობა და სხვა ეკონომიური მაჩვენებლები. მარტო შარშან ქარხანამ სამი მილიონი მანეთის მოგება მისცა სახელმწიფოს. ეს წარმოების კარგი ხელმძღვანელობის შედეგია.

ეკატერინე უამრავ წერილებს იღებს კმაყოფილი მომხმარებლებისაგან. ამას წინათ ქალაქ ერევნის მშრომელებმა კარგად ილუსტრირებული ალბომი გამოუგზავნეს, რითაც გამოხატავდნენ თავიანთ აღტაცებას და მადლობას ქარხნის მთელი კოლექტივის მიმართ. ქარხნის ავტორიტეტი სულ უფრო იზრდება კარგად გაფორმებული, მაღალხარისხოვანი პროდუქციის წყალობით. მოდის დაკვეთები ჩვენი ქვეყნის მრავალი ქალაქიდან, მათ შორის მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ხარკოვიდან.

ეკატერინე არც საზოგადოებრივ მოღვაწეობას ივიწყებს და არც ოჯახს. არის პარტიის ლენინის რაიკომის ბიუროს წევრი და რაისაბჭოს დეპუტატი, მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის წევრი, შესანიშნავი მეუღლე და დედა.

...თქვენ უკვე აღარ გჭირდებათ ბევრი წვალება. შედიხართ სამზარეულოში, გადასწევთ გაზქურის ჩამკეტს, ასანთს გაჰკრავთ და სანთურებზე ცისფერი ალი აინთება. ლამაზად მომინანქრებული ქვაბებით ადგამთ კერძებს, ყველაფერი უბრალოდ ხდება... ამ დროს კი საამქროებში ასობით ადამიანი შრომობს. ყრუდ ბუბუნებენ ვეება ღუმელები, გამოაქვთ გავარვარებული თუნუქი და აძლევენ ათასნაირ ფორმას. კაბინეტში ზის საშუალო ტანის ენერგიული ქალი. ის ხან ინჟინრებს ეთათბირება, ხან საამქროს უფროსებს. სამუშაო საათი რა ხანია დამთავრდა, მაგრამ ის მაინც ზის და ქაღალდებს ჩასცქერის. მერე წამოდგება, ხალათს გადაიცვამს და ერთხელ კიდევ დაივლის საამქროებს. შინ წასვლა, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ წარმოების პროცესი რთულია და თუ ხელმძღვანელი ხარ, ყველაფერს თვალი უნდა ადევნო.

ი. ჭაჭიაშვილი



ქარხანაში

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქარსის მთები

მაინც რა უცნაური სიზმარი ნახა წუხელის ჟუჟუნამ. ჯერ იყო და იმ დიდმა სიხარულმა, რომლის მსგავსი აგერ ოცდახუთი წლის ქალია და არ განუცდია, მთელი ღამე არ დააძინა. ხუმრობა ხომ არ არის, ათი დღით სამრეწველო გამოფენაზე აგზავნიან მოსკოვში. თვითონ საამქროს უფროსმა დაასახელა — ჟუჟუნა გუგეშაშვილიო! სიხარულით ათრთოლებული გული ძლივს მიიტანა სახლში. გამთენიისას წასთვლიმა ცოტა და... მაინც რა უცნაური სიზმარი ნახა!

...ნაშუადღევი იყო. სამხრეთით გადახრილი მზე უცნაურად კაშკაშებდა. ირგვლივ ყველაფერს უცხო ფერი გადაჰკრავდა, მხოლოდ ქარსის მთები აზიდულიყვნენ თეთრად. ჟუჟუნა პატარა გოგო იყო, სულ პატარა. როგორც ბავშვობისას, მოკლე, უსახელო კაბა ეცვა და შიშველი ვარდისფერი ფეხებით სწრაფად არბოდა მთებზე. სულ ზევით და ზევით მიიწევდა მწვერვალისაკენ და რაც უფრო მაღლდებოდა, უფრო და უფრო იზრდებოდა, ქალდებოდა, მზის სხივების ათინათი აციასკროვნებდა მის სახეს.

არბოდა ჟუჟუნა მწვერვალზე, ეცემოდა და არბოდა, იღლებოდა და არბოდა. ქარსის მტვერი ედებოდა კაბაზე და მთელ სამოსს ვერცხლისფერში ხვევდა. და აი, მწვერვალიც...

იდგა მწვერვალზე ჟუჟუნა და სიხარულით გაჰყურებდა თვალუწვდენელ სამყაროს. და უცებ მოეჩვენა, თითქოს თავისი დაზგის ნაცნობი ხმა გაიგონა საიდანღაც. ეს ხმა თანდათან მოახლოვდა, თანდათან გაძლიერდა და ჰოი, საკვირველებავ! — ჟუჟუნა გუგეშაშვილიო, მის გვარსა და სახელს გუგუნებდა მანქანა და ეხოს აძლევდნენ ქარსის მთები... ქარსის თეთრი, თეთრი მთები...

სიხარულით გულანათრთოლებს გამოეღვიძა. მაშინვე ქარხნისაკენ გაიქცა. უჩვეულოდ მოუნდა თავის პატარა ქარხნის ნახვა. ჯერ სამი წლისაც რომ არაა და ელექტრო-მაიზოლირებელის სახელს კი სიამაყით ატარებს. კარები ფრთხილად შეაღო და საამქროში შევიდა. ფრთხილად შეეხო მანქანას, ყველა ნაწილი გასინჯა, ხელი მზრუნველად გადაუსვა და უცებ იგრძნო, თუ რა ფასი აქვს მისთვის ამ დაზგას. სამი წელია აქ მუშაობს ჟუჟუნა, აქვე დაუმეგობრდა მუშებს, გაიცნო, შეარჩია და ბრიგადა ჩამოაყალიბა, რომელმაც შემდეგ შრომითი მამაცობისათვის კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო სახელი დაიმსახურა.

სამუშაო დრო მოახლოვდა. მუშებმა დაიწყეს მოსვლა. აგერ მისი ბრიგადის წევრებიც — ცოცხალი და მუდამ მოუსვენარი შურა თეთრაძე. იგი ყველაზე წინ მოდის, მუდამ ამაყობს ოთხი წლის ბუთხუზა ბიჭით და ქმრით, მიტო თედიაშვილით, რომელიც სააღმშენებლო კანტორაში კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელია. მას უკან მოჰყვება მედიკო ირემაშვილი, დაბალი, ენერგიული ქალი. ორი შვილი ჰყავს მედიკოს, ორივე ბიჭი. ქმარი კი პენსიონერია. მოდის როზა ვაკარიანი, შავთვალწარბა სომეხი გოგონა და ბოლოს როზა აგამატონი, ქურთი ქალიშვილი. ინტერნაციონალური ბრიგადა ჰყავს ჟუჟუნას. ყველანი შრომამ, საქმისადმი უსაზღვრო სიყვარულმა და ერთგულებამ დაამეგობრა.

...შურამ ძრავა ჩართო, ძრავა ჩართეს სხვა მუშებმაც. აგუგუნდა საამქრო, ახმაურდა, აძაგძაგდა. ზმორებით გაიჭიმა ლენტი და დაიძრა. ქარსი მოამზადეს. დაიწყო მუშაობა. თითები შეჩვეული სისწრაფით იღებდნენ ყუთიდან ქარსის ნაჭრებს და ლენტზე აფენდნენ. მთელდებოდნენ ნაჭრები, იზეთებოდნენ, მერე ერთმანეთს ეკვროდნენ, ედუღებოდნენ და გადამუშავებული, უკვე სხვა ნივთიერებად ქცეული, მასრაზე მჭიდროდ ეხვეოდნენ.

შეუჩერებლად მოძრაობდნენ ხელები. მარცხენა-მარჯვენა, მარცხენა-მარჯვენა...

მაინც რა მოსაწყენად ეჩვენებოდა ყველაფერი პირველად ჟუჟუნას. „რა გამაჩერებს აქ ექვს საათს?!" — ასე ფიქრობდა მაშინ. უხალისოდ აფენდა ქარსის ნაჭრებს და ზედამხედველის საყვედურზე ყოველთვის გულმოსული პასუხობდა. მერე კი... მერე ყველაფერი შეიცვალა. ამხანაგებმა, ერთმანეთთან შეჯიბრებამ ინტერესი გაუღვიძა. ბრძოლამ, კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო სახელის მოსაპოვებლად, მონდომება და საქმისადმი სიყვარული ჩაუნერგა... და აი, პირველ შეჯიბრებაში გამარჯვებული ჟუჟუნა საპატიო სიგელით დააჯილდოვეს.

მერე კიდევ ორჯერ გაიმარჯვა ჟუჟუნას ბრიგადამ შეჯიბრებაში, ორჯერ დაიმსახურა შრომითი მამაცობისათვის საპატიო სიგელი. ახლა კი გამოფენა... მაინც რა უბრალოდ და მარტივად ხდება ყველაფერი. ადრე კი, ბავშვობაში, ოცნებობდა პიანისტი გამოსულიყო...

საამქროს უფროსმა ჩამოიარა, დაუფარავ ნაწილს მოჰკრა თვალი და დაფიქრებულ ჟუჟუნას ღიმილით მიუთითა. ჟუჟუნასაც გაეღიმა. სწრაფად გახია ქარსი, რომელიც ხელში ეჭირა და დააფარა.

შუადღემ მოატანა. ზეთი შრებოდა სიცხისაგან და უკვე აღარ შეიძლებოდა მუშაობა. ძრავა გამორთეს და გარეთ გამოვიდნენ სუფთა ჰაერზე.

— სიმღერის გუნდის მეცადინეობაზე ხომ იქნები დღეს, ჟუჟუნა? — ჰკითხა როზამ და კაბა ჩამოიფერთხა.

— კი, თუ მოვასწარი. ხვალისთვის მოსამზადებელი ვარ.

— მაშ, მიდიხარ, ა?

—ჰო.

— რა ბედნიერი ხარ... — თითქოს სინანულით თქვა როზამ.

ჟუჟუნა მიუხვდა ამხანაგს და მხარზე სიყვარულით მოხვია ხელი.

— გაისად თქვენც წახვალთ... განა ჩვენ ერთმანეთს რითიმე ჩამოვრჩებით? გაისად უსათუოდ წახვალთ...

მზე აცხუნებდა. ცა იყო ამ ქალიშვილების მიზნებივით მაღალი, იმედებივით ნათელი და გრძნობებივით სუფთა. ისინი მიდიოდნენ ჩუმად, სწამდათ ერთმანეთის, ესმოდათ, განიცდიდნენ

ბ. ლაზაძე

# „მინდვრის დედოფლის" დობილები

ივლისის ერთი ჩვეულებრივი დღე დაუვიწყარია ლაურა მარგებაძისა და გოგუცა ექვთიმიშვილისათვის. იმ დღეს პირველად ეზიარნენ ქალიშვილები ნამდვილ შრომას, იგრძნეს ზაფხულის მზის სიცხოველე და თოხის სიმძიმე. მართალია გვარიანად დაიღალნენ იმ დღეს, მაგრამ როცა გათოხნილ სიმინდის რიგებს გადაჰხედეს, სიამოვნებით გაებადრათ სახე.

ლაურა მარგებაძეს ეგონა მეორე დღეს ვეღარ ადგებოდა, მაგრამ თითქოს განგებ, უფრო ადრე გაეღვიძა. კუნთები სტკიოდა. თავს ძალა დაატანა და წამოდგა. საჭმელი ქაღალდში შეახვია, კიბეები ჩაირბინა, იქვე კედელთან მიყუდებულ თოხს ხელი წამოავლო და ეზოდან გავიდა.

წყაროსთან ლაურას უკვე უცდიდნენ თანატოლები — გოგუცა ექვთიმიშვილი, ქსენია ოქრომჭედლიშვილი, ბაბულია თამაზაშვილი, ცისანა ჯიღაური, მერი კვეზერელი, ანა ბარბაქაძე. მზის ამოსვლამდე დაიწყო კოლმეურნე გოგონების შრომა. ასე იყო შემდეგშიც. ასეა უკვე მეოთხე წელია.

საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთის XXI პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში სიმინდის მაღალი მოსავლის მოყვანისათვის ბრძოლაში გაითქვეს სახელი ლაურა მარგებაძემ და გოგუცა ექვთიმიშვილმა.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გოგონებმა პირველი გაუბედავი ნაბიჯები მეფრინველეობის ფერმისაკენ გადადგეს, მაგრამ დიდხანს ვერ გაჩერდნენ წიწილებთან, ახალგაზრდული რგოლი შექმნეს და სულ მალე საერთო პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურეს, სადაც კი მუშახელი დააკლდება კოლმეურნეობას, იქ გაჩნდებიან და ყოველგვარ სამუშაოს ასრულებენ.

შრომაში წარჩინებულმა ლაურამ და გოგუცამ არც სწავლა დაივიწყეს. შარშან ერთად ჩააბარეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში გამოცდები და აგრონომიული ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე სწავლობენ.

პირველი სიძნელეები რა სახსენებელია. ყველას უჭირს პირველად. ახლა კაკაბეთელი ქალიშვილებისათვის ყველაფერი ნაცნობი და ადვილია. მზეს მოურიდებლად გაუშავებია მათი სახე და მკლავები, გაუათკეცებია ენერგია.

ლაურა კომკავშირის ორგანიზაციის მდივანია, 120 კომკავშირელს ხელმძღვანელობს. ეს მისი ამხანაგები იყვნენ შაბათობა რომ მოაწყვეს სოფლის გზებისა და ორღობეების გასაწმენდად.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირგამოწვევა და მოსავლელად 15 ჰექტარი სიმინდის ნაკვეთი გადაპიროვნეს.

ლაურა მარგებაძემ და გოგუცა ექვთიმიშვილმა თითო ჰექტარი მაღალმოსავლიანი ნაკვეთი აიღეს და გადაწყვიტეს სარეკორდო მოსავალი მოიყვანონ — ჰექტარზე 70 ცენტნერი სიმინდი. ეს მართლაც გადიდებული ვალდებულებაა კაკაბეთის პირობებში.

სოფელში სიმინდის უხვი მოსავლი-



ლაურა და გოგუცა

მა უფრო მეტი პასუხიმგებლობა აგრძნობინა კაკაბეთელ მესიმინდეებს. შარშან ორი ათასი ტონა სილოსი ჩადეს პირუტყვისათვის. წელს შარშანდელთან შედარებით პირუტყვის რაოდენობა გაიზარდა, მესიმინდეებმაც გაზარდეს ვალდებულებები.

ახალგაზრდა კაკაბეთელი მესიმინდეები ამას წინათ ყანდაურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირელებმა გამოიწვიეს სიმინდის უხვი მოსავლისათვის შეჯიბრებაში.

კაკაბეთელებმა სიხარულით მიიღეს მეზობელი სოფლის ახალგაზრდობის სათვის იბრძვიან, დიდი და პატარა ამ საქმისათვის არის თავგადადებული. ლაურა და გოგუცაც მათთანაა, მაგრამ არც კლუბი ავიწყდებათ, არც სოფლის ბიბლიოთეკისათვის ახალი ლიტერატურის შეძენა, არც ის, რომ სოფელს ახალი სასმელი წყალი უნდა და არც ის, რომ წყალმა უხვად იდინოს სასოფლო არხში, არ ავიწყდებათ, რადგან „მინდვრის დედოფლის" დობილები ამ ცოტა ხნის წინათ რაიონული საბჭოს დეპუტატებად აირჩიეს.

თ. ქურდოვანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართველი სელექციონერი ქალები

აკადემიკოსმა ნიკოლოზ მიხეილის ძე ხომიზურაშვილმა მირჩია მივსულიყავი სელექციონერ ელენე შალვას ასულ ერისთავთან.

— ელენე შალვას ასულს ძალზე საინტერესო მუშაობა აქვს ჩატარებული ქონდარა საძირეებზე, — მითხრა მან, — ესაუბრეთ მას.

ელენე ერისთავს შევხვდი დიღომში, მებაღეობა-მევენახეობისა და მეღვინეობის საკვლევ ინსტიტუტის ახალ შენობაში. ჩვენი გაცნობის პირველი წუთებიდანვე მივხვდი — ეს არის კარგი, სასიამოვნო, კეთილი და თავის საქმეზე შეყვარებული ადამიანი. მე უკვე ვიცოდი, რომ სასელექციო მუშაობას იგი 1923 წლიდან ეწევა.

ვაშლი, მსხალი, ატამი, — აი, ის კულტურები, რომლებსაც მან უძღვნა მთელი თავისი სიცოცხლე, თითქმის ორმოცი წლის დაუღალავი, გულმოდგინე შრომა.

მრავალი წელი მოანდომა მან ამ კულტურების ადგილობრივი ჯიშების შესწავლასა და გამოყვანას. როგორია, რითი გამოირჩევიან ისინი სხვა ჯიშებისაგან, რომელი მათგანია საუკეთესო და პერსპექტიული?

გორთან ახლოს, სკრის საცდელ სადგურში, სადაც სოხუმის შემდეგ ოცდახუთ წელზე მეტი იმუშავა, ელენემ გააშენა უმდიდრესი პომოლოგიური ბაღი: ვაშლის ოთხასამდე მსხლის ორასზე მეტი, ატმის ასორმოცდაათი ჯიში...

ხეხილის ადგილობრივი კულტურების უდიდესი სიმდიდრის ყოველმხრივი გაცნობისა და შესწავლის შედეგად ელენე გახდა „საქართველოს კულტურული ფლორის ატლასის“ ერთერთი ავტორთაგანი. ატლასი გამოდის ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

ელენე შალვას ასულმა გვითხრა, რომ ქართველი მებაღეები, უწინ, როგორც წესი, რგავდნენ ერთ დიდ ვაშლის ხეს ას კვადრატულ მეტრ ფართობზე, ჰექტარზე სულ 100 ძირს. დარგვის შემდეგ 10—12 და მეტი წელი გადიოდა, ვიდრე ბაღი იწყებდა ნაყოფის მოცემას. ნაყოფის მიღების დაჩქარება, ბაღის ფართობის ინტენსიური გამოყენება — ეს იყო დიდი ამოცანა. პრაქტიკამ აჩვენა, რომ საჭიროა ნაყოფის ადრე მომცემი ქონდარები. ასეთი ვაშლის ხეები ჰექტარზე ოთხასამდე დაირგვება და მოსავალიც ორ-სამჯერ მეტი მოვა. ნაყოფს ისინი იძლევიან მესამე-მეოთხე წელს და მათი მოვლაც უფრო იოლია.

ელენე ერისთავმა მონახა ქონდარა ვაშლის განსაკუთრებულად საინტერესო ჯიში — ხომანდულის სახელწოდებით ცნობილი. მისი სიმაღლე მეტრნახევარს არ აღემატება, იგი სხვა დანარჩენ ქონდარა ვაშლის ხეებზე უფრო დაბალია.

ჩვენი საუკუნის დასაწყისში საქართველოში საზღვარგარეთიდან შემოიტანეს პარადოზკა—ქონდარა ვაშლის ხე. ეს არის კარგი ვაშლი, მას „სამოთხის ვაშლიც“ კი შეარქვეს. ჰექტარზე ასეთი ხე ოთხას ძირამდე დაირგვება. მაგრამ ხომანდულს მეტი ღირსებები აქვს. ჰექტარზე შეიძლება განლაგდეს 1.200 ასეთი ხე. ნაყოფსაც ხომანდული ერთი წლით უფრო ადრე იძლევა, ვიდრე პარადოზკა.

ელენე ერისთავის მუშაობას გამოეხმაურა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ელისაბედ იასონის ასული ოქროშიძე. ხომანდულის მაღალხარისხოვანი ვაშლის ჯიშებთან — ზამთრის ოქროს პარმენთან, შამპანურ რენეტთან, ბელფლერთან, სარი-სინაპთან და სხვა ჯიშებთან შეჯვარებით მან გამოიყვანა ჰიბრიდის ახალი ფორმები. მუხრანში ოქროშიძეს ახლა უკვე 1.200 ჰიბრიდული ულტრაქონდრული ვაშლის ხე აქვს. ეს ჰიბრიდები ჯერ ძალიან ახალგაზრდაა, ისინი მხოლოდ 1953 წელსაა დარგული, მგრამ უკვე გასულ წელს თვითეულმა ხემ ათობით კილოგრამი დიდი, გემრიელი, წვნიანი, არომატული ნაყოფი მოისხა.

სელექციონერმა საწარმოო გამოცდისათვის გამოჰყო ჰიბრიდი № 15, ჰიბრიდი № 22, მუხრანული-ყვითელი და შაფრანულა. რითი არიან ისინი საინტერესო? ჰიბრიდი № 15-ის ნაყოფი მწიფდება აგვისტოს პირველ ნახევარში. მისი ფერი ყვითელი-მოოქროსფეროა, გული — მკვრივი, არომატი სასიამოვნო და იწონის 112,5 გრამს. მუხრანული-ყვითელის წონამ კი 136,7 გრამს მიაღწია. სანამყენე ჰიბრიდი № 15-ის 100 ძირი გამრავლების მიზნით გადაეცა ბებნისის საბჭოთა მეურნეობის ხეხილის სანერგეს.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიღმის სასწავლო მეურნეობაში შექმნილია ხომანდულის სპეციალური სადედე. გასული წლის შემოდგომაზე იქ ულტრაქონდრული ვაშლის ხის ათასი ცალი ამონაყარი დარგეს. გაზაფხულზე დარგეს ხომანდულის საძირეები, ხოლო ზაფხულში მათზე დაამყნობენ ქონდარა ჰიბრიდებს.

ხომანდულის საძირეთა სადედე პლანტაციები ჩაყრილია აგრეთვე ბებნისის, წნორისა და სამგორის სახელმწიფო სანერგეებში.

ელენე ერისთავი დიდად აფასებს ე. ოქროშიძის შრომას.

— საჭიროა მილიონობით ქონდარა საძირეები, —ამბობს ის,—მათზე ყოველდღიურად იზრდება მოთხოვნა. კოლმეურნეობები უკვე შეუდგნენ ასეთ საძირეებზე ბაღების საძირკვლის ჩაყრას.

ელენე ერისთავს ახლა აქვს მეორე დიდი გატაცება — ატმის სელექცია. ატამი სამუდამოდ დარჩა მის რჩეულად. ვის არ უყვარს ატამი? — კითხულობს ის — ეს სამხრეთის უგემრიელესი ხილია, მდიდარია ვიტამინებით და სხვადასხვა მინერალური მარილებით. ატმის 14 პრთცენტს შაქარი შეადგენს.

საქართველოში ატმის მრავალნაირი ჯიში არსებობს, მაგრამ ადრეული ჯიშები ძალიან ცოტაა.

გორის საცდელ-სასელექციო სადგურში ელენე ერისთავი დიდხანს სწავლობდა და არჩევდა ნაადრევ ჯიშებს. ვინ იცის, რამდენი ცდა ჩაატარა იმისათვის, რომ მათ შთამომავლობისათვის გადაეცათ თავიანთი საუკეთესო თვისებები. თითქოს მიზანს მიაღწია კიდეც. ზოგიერთი ჯიშები — „კუმბერლენდი“, „გოლდენი“, „საიუბილეო“, „როჩესტერი“ და სხვები უკვე დარაიონებულია და მათ რესპუბლიკის ატმის საზაფხულო სორტიმენტი შეავსეს. მხოლოდ ამ ჯიშებმა არ დააკმაყოფილეს თვით სელექციონერი — მათ ჯერ კიდევ არა აქვთ ის შესანიშნავი, ძლიერი არომატი და დახვეწილი გემო, გორის ატამს რომ გააჩნია.

გასაოცარი სიჯიუტით განაგრძობდა ელენე ერისთავი ახალი ფორმების ძიებას. მოთმინებით ეძებდა ბუნებაში სელექციონერი თავის „ოქროს ატამს“.

და გაიმარჯვა. მოვიდა დრო და რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პომოლოგიურმა კომისიამ ზედიზედ ჩაიწერა საქართველოს სტანდარტულ სორტიმენტში ატმის ოთხი ახალი ჯიში: ეს არის „გორის ადრეულა“, „პიონერი“, „ნობათი“ და „ვარდისფერი ერისთავი“. მწიფდებიან ისინი ივლისის ბოლოს და აგვისტოს დასაწყისში.

გორის ხეხილის სანერგემ გამოზარდა და კოლმეურნეობებს გადასცა ოცდაათ ათასამდე ატმის ამ ახალი ჯიშების ნერგი. ეს ატმები ჩაყრილია რვაას ჰექტარზე.

ატმის კულტურა საქართველოში სულ უფრო ფართოვდება. მზიური სანაპიროებიდან ატამი მაღლა იწევს, შორეული ოდესღაც თამარ ცერცვაძეც მისი მოწაფე იყო. ახლა კი მან თვითონ შექმნა ვაშლის ახალი მაღალმოსავლიანი ჯიშები. მისი „ივერია“, „გურული სინაპი“, „საქართველოს პიონერი“ და „საგამოფენო“ საუკეთესო შეფასებით უკვე გადაცემულია დასანერგავად.

ინსტიტუტში, სადაც ელენე ერისთავი მუშაობს, ბევრი, ძალიან ბევრი წერილი მოდის. საქართველოს მებაღეებს ახარებთ სელექციონერის წარმატება, ისინი სთხოვენ ნერგებს, თესლებისა და სანამყენე კალმების გაგზავნას. ელენეს ისინი ახალი ცხოვრების ბედნიერ მშენებლად თვლიან.

მართლაც ბედნიერი ადამიანია ელენე ერისთავი. იგი



ელენე ერისთავი

მთებისაკენ, რომელთა სიმაღლე ზღვის დონიდან 1.100 მეტრს აღწევს. ხუთწლედის ბოლოს ატმის ნარგავები 5.400 ჰექტარს დაიჭერს.

არ იღლება ადამიანი. ახლა ე. ერისთავი მუშაობს ახალი სასელექციო ჯიშების გამოყვანაზე. საწარმოო გამოცდას გადის კიდევ ატმის სამი მისი ჯიში — „სანდო“, „ნაზი“ და „ახალი“. ეს ჯიშებიც პერსპექტიულია, შესანიშნავი თვისებებით აღჭურვილი.

ელენე ერისთავს ჰყავს ბევრი მოწაფე, მეგობარი, სავსეა ძალღონით და გატაცებულია საქმით. სადაც არ უნდა შრომობდეს — ბაღში, საცდელ სადგურში თუ ლაბორატორიაში, მას ამოძრავებს ადამიანთა კეთილდღეობისათვის ზრუნვა. როგორც უწინ, ახლაც ოცნებობს იგი — იყოს ბევრი ბაღი საქართველოში.

— თვითეული, — ამბობს ის, — უნდა აძლევდეს მეტ ხილს საბჭოთა ადამიანებს. და ეს ხილი უნდა იყოს ყველაზე მაღალი ხარისხის, ყოველ წელიწადს ის უფრო ადრე უნდა ჩნდებოდეს მშრომელთა სუფრაზე.

გ. კლეშაკინი

# ვაჟა ფშაველა

მხატვარი გოგი ოჩიაური



ილუსტრაცია ლექსისათვის „იას უთხარით ტურფასა"



ილუსტრაცია ლექსისათვის „არაგვს"



ილუსტრაცია ლექსისათვის „დევების ქორწილი"

თამარ ჩხაიძე



# იავნანა

მოთხრობა

— მე შენს გარდა არავინ მყავს, მაგდა!

და სულ მალე ერთად დასახლდნენ მაგდა და რეზო.

— ასე უცებ შეყვარება! ასე უცებ შეუღლება! — ვიშვიშებდა მაგდას მამიდა.

მაგდა კი ხან ზღაპრული ფერია იყო, ხან ყვავილთა დედოფალი, იყო ის, რასაც რეზო შეარქმევდა.

ხოლო ერთ დღეს... ო, იმ დღეს რა დაავიწყებს მაგდას!

— შვილი, შვილი მეყოლება? — შესძახა გახარებულმა რეზომ. მერე სადღაც გაუჩინარდა და შინ აკვნით შემობრუნდა.

ნაზად დაირხა აკვანი. ხელი-ხელგადახვეულნი უსხდნენ ცარიელ აკვანს ცოლ-ქმარი და ღიღინებდნენ: იავნანავ, ვარდო ნანა...

* * *

გადიოდა დღეები, ვარდ-ყვავილებით ნაქარგი დღეები, მიიწურა რეზოს შვებულებაც.

— სამსახური! მოვალეობა! — თქვა რეზომ და აიბარგა.

— ცოლი ალთას, ქმარი ბალთას! — ვიშვიშებდა მაგდას მამიდა.

— ერთი, ერთი შორი ექსპედიციაც და სულ, სულ თქვენთან ვიქნები! — თქვა რეზომ, და გაიტაცა იგი ფოლადის ფრინველმა შორს, ჩრდილოეთისაკენ.

— ეს ჩვენს შვილიკოს! ეს ჩვენ შვილიკოს! — ამბობდა ღიმილით მაგდა და სათნოებით აგვირისტებდა პაწია საცვლებს, პაწია საბანს, პაწია ფაჩუჩებსაც ქსოვდა.

წერილებში წერდა — აკვანზე მძივები ჩამოვკიდეო, წითლები, ყვითლები, ლურჯები, ცისარტყელას ფერებიო.

მაგრამ სად გაეგზავნა? რეზოდან არა ისმოდა რა. „ნუ თუ ამდენხანს არ დაბინავდა? აკი თქვა: ჩასვლისთანავე გაცნობებთო?“ — ფიქრობდა მაგდა და ელოდა.

ბარათი არ არისო, შორიდან შლიდა ხელებს ფოსტალიონი და მაგდას არაკად ეუბნებოდა: ვინც მოითმენს, ის მოიგებსო.

მაგრამ მაგდამ არ მოითმინა. მამიდას ვიშვიშს მიენდო.

— მიმატოვა, ნუთუ მართლა მიმატოვა? — ქვითინებდა მაგდა.

— ხეირიანად არც კი იცნობდა, ქარს გაჰყვა ქარის მოტანილიო, — ურყევდა რწმენას მაგდას მამიდა და ძველ ქორწილებს უქებდა, მღვდლის მირონით ნაკურთხევს, ან ღმერთი იყო მოსარჩლე ან ქრისტეო, ახლა კი აი, ხომ ხედავ...

— შვილი, შვილი შემინარჩუნეო... — იმეორებდა ქმრის თხოვნას მაგდა მწარე ღიმილით.

— არა, ვრა, აკვანიც რომ შეიძინა? — ეუბნებოდა მაგდას მამიდა გესლით და ურჩევდა: უმამო შვილი რად გინდა, მოიშორეო...

და დაუჯერა მაგდამ მამიდას.

გადიოდა დღეები, მზიანები. მერე ცივმა ქარებმა დაჰბერეს.

— მიმატოვა, მიმატოვა! — შესჩიოდა მაგდა შემოდგომის ფოთოლცვენას.

— გული თქვენებრ გაუცივდა! — შესძახოდა ზამთრის ლოლუებს.

— სხვა შეიყვარა, სხვა შეიყვარა! — უჩურჩულებდა გაზაფხულის ენძელებს და ყოჩივარდებს.

მაგრამ ერთ დღეს მრავალი ბარათი მიიღო ერთად.

„ბუნების სტიქიამ ჩემს ბარათებს შენსკენ გზა გადაუკეტა, მე კი მაინც გწერ. ყოველ ცისმარე დღე გწერ, ჩემო კარგო...“ — ეწერა ერთ ბარათში.

„ჩვენი შვილი, ალბათ, უკვე გაჩნდა ქვეყნად. თუ ბიჭია ვახტანგი ერქვას, თუ გოგონაა—ნინო“—ეწერა მეორეში.

შუაღამეა. მეზობლის ოთახში ფრთხილად ირწევა აკვანი.

იავნანაო, ვარდო ნანაო... ჩუმად ღიღინებს დედა.

ფრთხილად ირწევა აკვანი. ჩუმად ღიღინებს მშობელი, მაგრამ მაგდას მაინც ელვიძება.

ტკბილია ქართული იავნანა, გულს რომ გაათბობს, სულს რომ დაატკბობს.

მაგდას კი სიმწრისგან სახე უფითრდება. ჩამქრალ ნაკვერჩხლებივით ჩანან მისი უსხივო შავი თვალები.

შორეულ წლებში იცქირებიან მაგდას თვალები, განვლილ წლებში, ფარდებივით რომ იხსნებიან და მაგდაც ხედავს: სიბერის თოვლით დათოვლილებს, შემოდგომის ოქროვარაყ ფოთოლცვენითა თუ ზაფხულის ნაირფერი ყვავილებით მოჩითულ ფარდებს. და, აი, ყველაზე შორეული ფარდაც — ლურჯთვალა იებიანი. იმის იქეთ მაგდას ყრმობაა. ის მაგდაა აგარაკის ხეივანში შველივით რომ მიჰქრის. რეზოც მოაგარაკეა, მაგდას რომ დადევნებია.

— მაგდ-ა-ააა! მაგდა-ა-ააა!

და დაეწია. და ნაწყვეტ-ნაწყვეტ ეუბნება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სუსხით ნაქარგ ყვავილებში შენს სახეს ვხედავ, შენით ვთბები...“ — ეწერა მესამეში.

ბოლო ბარათი ზეიმის იყო, ჩქარა გზა გაიხსნებაო. მართლაც ბარათებს მალე რეზოც მოჰყვა.

— ჩემო, ჩემო, — დაუკოცნა მაგდას თვალები და აკვანს მიაშურა. პაწია საცვლები ელაგა აკვანში, პაწია საბანი ეფარა იმათ, ფაჩუჩები საბანზე ისე იდგნენ, თითქოს რეზოსაკენ გაქცევას აპირებენო.

— შვილი სადაა, ჩემი შვილი?!

იმ დღის შემდეგ იავნანა აღარ უმღერიათ ერთად.

გადიოდნენ დღეები, თვეები, წლები შვილის ლოდინში.

ხარბად შეცქეროდა მაგდა ყველა დედას და დარდობდა, დარდობდა.

— შვილს მრავალს მოესწრებიო, — ეუბნებოდა მაგდას მამიდა, მაგრამ ექიმის ნათქვამი მართლდებოდა: ხდება, პირველი შვილის მოშორების შემდეგ ქალი უშვილო რჩებაო და ცოლ-ქმარს შორის ჩატეხილ ხიდივით ცარიელი აკვანი ჩადგა.

ახლოს ჰყავდა მაგდას რევაზი, მაგრამ რა შორს ეჩვენებოდა...

და ისევ ზაფხული იყო, რეზომ რომ ჩემოდანს დაავლო ხელი:

— ჩრდილოეთს მივემგზავრები, ექსპედიციაშიო.

— აკი ჩვენს ზღვებში ჩაუშვი ღუზა? — შენიშნა მაგდამ.

— ჩემი თხოვნით მიშვებენ ჩრდილოეთში! — მიუგო რეზომ. გაიტაცა იგი ფოლადის ფრინველმა და უკან აღარ დაბრუნდა.

ისევ გადიოდნენ ლოდინში დღეები, თვეები, წლები.

— მიმატოვა, მიმატოვა! — შესჩიოდა მაგდა მამიდას, მაგრამ მამიდას აღარ ესმოდა, მიწა ფარავდა მამიდას.

მაგდას თავზე ჭაღარამ ჩამოთოვა. ნაოჭმა ობობას ქსელები გაუბა პირისახეზე.

ჰაუ, რამდენი ახალგაზრდა აშენებს ახალ ცხოვრებას!

მაგდას შვილი აკლია მხოლოდ მშენებლობას და მაგდას. ის რომ ყოფილიყო, შემოვიდოდა, ეტყოდა: „დედი, დაიღალე ლოდინით!“ ამბავს მოუყვებოდა, ვახშამს შეუქებდა. ქათქათა ლოგინში დაიძინებდა.

შუქს ჩაუქრობდა ოთახში შვილს და ენთებოდა მაგდას გულში მარად უქრობი დედობის შუქი.

ამაზე ფიქრობს შემკრთალი მაგდა, გაფითრებული თავის ჭაღარა თმასავით და ჩამქრალ ნაკვერჩხლებად ჩანან მისი უსხივო შავი თვალები.

შუაღამეა.

მეზობლის ოთახში ირწევა აკვანი.

იავნანინაო, ვარდო ნანაო, — ჩუმად ღიღინებს დედა.



ზღვასთან

ფოტოეტიუდი თ. მოდებაძის

## სკკპ XXII ყრილობის შესახვედრად

# ქალიშვილი ლეხაინდრაოდან

მთელი დღე წვიმდა. ცა არ ჩანდა. იკლაკნებოდა ელვა. ჭაჭანება არ იყო სოფელში. ჩაის ბუჩქებში კი ელვისსისწრაფით მუშაობდნენ თითები. თვალის დახამხამებაში ივსებოდა კალათი. ვერც სიცივეს გრძნობდა, ვერც წვიმას. ერთი იყო მისი ფიქრი: უხვადაა ჩაი, თუ დროზე არ გაიკრიფა, გაუხეშდება დუყები. ცალი თვალი მაინც ფარდულისაკენ ეჭირა — არავინ იყო, არც მწონავი, არც ბრიგადირი. „დაგადგებათ კარგი დღე, შეგისრულდებათ გეგმა“, — იმუქრებოდა გულში და სავსე კალათებს ფარდულისაკენ მიარბენინებდა.

იმ დღეს მარუსია ქიქავამ 90 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა.

...პატარაობიდანვე მარუსიას დასაქმება და შესრულება ერთი იყო. ხშირად გაისმოდა ოჯახში:

— მარუსია, წყალი, ბაბა:

— მარუსია, ძროხებს მიხედე, დაიკო.

— მარუსია, თუ შენი ძმა გიყვარს, ბრიგადის წევრებს გააგებინე კრებაზე არ დაიგვიანონ.

და დაქროდა სოფელში მარუსია დაუზარებლად. დილით ხომ ვერავინ ასწრებდა ადგომას. დააკრიალებდა სახლკარს და მერე ოჯახის წევრებთან ერთად ჩაის პლანტაციაში ტრიალებდა, პატარა თითებით დიდ შრომას ინაწილებდა, თან ყურს უგდებდა ქალების ნაამბობს:

ქიონია სარსანიას ახსენებდნენ ისინი. მერე ტატიანა ტყებუჩავას ადიდებდნენ. „მეც გავხდები მოწინავე“, — ჩუმად სთქვა გულში და თავს მოევლო ჩაის ბუჩქებს. დღე დღეს მისდევდა, წელი წელს, დაოსტატდა და 1959 წელს შვიდი ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა. გასული წლის 8 მარტს 20 წლის ქალიშვილს ლენინის ორდენმა დაუმშვენა მკერდი.

ზეიმობდა სოფელი, ზეიმობდა მარუსიას ოჯახი. ჭიშკარზე დამტარებელმა ოფლში გახვითქული ცხენი მოაგდო. ხელიდან ხელში გადადიოდა დეპეშა. თვალებს არ უჯერებდნენ, ერთმანეთს კითხვას არ აცდიდნენ. ლაიზა ბართაიამ ხმამაღლა წაიკითხა:

„მთელი სულით და გულით გილოცავთ ლენინის ორდენით დაჯილდოვებას, თქვენი პატიოსანი, კეთილი შრომით მიიღეთ ასეთი მაღალი შეფასება. იყავით ჯანმრთელი, დღეგრძელი და ბედნიერი ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ. გისურვებთ წარმატებებს.

ვასილ პავლეს ძე მჟავანაძე“.

და მარუსიამ გასულ წელს მართლაც გააოცა ყველა. ბევრი უსაქმური ახალგაზრდა ჩააბა შრომაში

გეგეჭკორის რაიონის სოფელ ლეხაინდრაოს კოლმეურნეობა „საქართველოს“ თავმჯდომარე გიორგი ახალაია ხშირად ეტყვის მარუსიას:

— არ დამღუპო, მარო, სხვა სოფელში არ იფიქრო გათხოვება...

არ ჩქარობს მარუსია, ჯერ უფროსი ძმა პავლე უნდა დაქორწინდეს. იცის მარუსიამ ძმის არჩევანი, მეათე ბრიგადაში მოწინავე ჩაის მკრეფავია მისი გულისსწორი. სახლში მოსვენებას არ აძლევს ძმას:

— ჰა, ბრიგადირო, ჩვენს ბრიგადაში რომ გადმოვიყვანო შენი რჩეული, რას იტყვი?

იქ, ფართობში, სარძლოს სიცოცხლეს უმწარებს!

— არ ჩამომრჩე ჩაის კრეფაში, თორემ ჩემი რძლობა არ გეღირსება.

მერე სხვა თანატოლ გოგონებს მიაკითხავს. გამოცდილებას გაუზიარებს. 18 წლის ლაიზა ბართაიას მიღწევები ახარებს.

— ლაიზა, გასხვლის დროს ოვალური ფორმა უნდა მისცე ბუჩქს, ხომ იცი?

— სასუქის შეტანა არ დააგვიანო, თინა, დროზე, ჩათოხნე.

თვითონ კი ყველაზე ადრე ასწრებს მოხვნას, გადაბარვას, გათოხნას, გასხვლას და სასუქის შეტანას. მოზღვავებულა ჩაის ნაზი დუყები და მარუსია ყოველდღიურად ჩაის ფოთლების გორებს აყენებს.

შარშან ხუთი ათასი კილოგრამის ნაცვლად თერთმეტი ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა და ოცდახუთი ათასი მანეთი მიიღო, არც სარძლო ჩამორჩა და მერე ქორწილიც გაჩაღდა.

— ახლა, რძალ-მულს ვინ გაგიძლებთ! — ეხუმრებიან კოლმეურნეები.

მათ ოჯახში ოთხი სახელოვანი ადამიანია: მამა — ომგადახდილი ჭიჭიკო ქიქავა — მევენახეობის ბრიგადის ბრიგადირი, შვილი — პავლე — მემინდვრეობის ბრიგადის ბრიგადირი, მარუსიასა და ლამარას კი ყველა იცნობს...

გასულ წელს ორი ათას ას ოცდაოთხი შრომადღე გამოიმუშავეს და ორმოცდაშვიდი ათასი მანეთი მიიღეს.

მარუსია ქიქავამ გადაწყვიტა პარტიის XXII ყრილობისათვის მზადების დღეები ახალი შრომითი წარმატებით აღნიშნოს—ნახევარ ჰექტარიდან თოთხმეტი ათასი კილოგრამი მწვანე ოქრო ჩააბაროს სახელმწიფოს.

მეგობრებს კი საიდუმლოდ გაანდო თოთხმეტი ათას კილოგრამს გადავაცილებო. სჯერათ, რომ ასე იქნება.

ოლია გელოვანი

# საჩუქარი



ისინი აეროპორტს მიუახლოვდნენ და კრილამ კვლავ ტირილი დაიწყო. კლაივმა ძლივს შეიკავა თავი, რომ მოწოლილი ბოღმა არ გადმოენთხია. მან მანქანა გააჩერა იმ დარბაზთან, საიდანაც პორტ-ზე უნდა გასულიყვნენ. მიუბრუნდა კრილას და, რამდენადაც შეეძლო, მშვიდად მიმართა:

— მომისმინე, — დაიწყო კლაივმა, — დედაშენმა რომში ერთი თვით მიგიპატიჟა. წასვლაზე ჯერ სურვილი განაცხადე, მერე უარი თქვი, ახლა ისევ გადაწყვიტე, რაღა გატირებს?

— მართალია, გადავწყვიტე... მაგრამ... მაგრამ... არ ვიცი, — უხერხულად წარმოთქვა კრილამ.

— შენ მიდიხარ! — ყრუდ უთხრა მამაკაცმა. მანქანიდან გადმოვიდა და საბარგო განყოფილების -კარი გამოაღო.

— ორი ჩემოდანი და საკვოიაჟი. — მიმართა ბარგის მზიდველს. — რეისი „ა-24", რომი.

— ძვირფასი განძეულის ზარდახშა სადღაა? — ჰკითხა ქალმა.

— დიდ ჩემოდანში. ხელზე არ დაგიტოვე, ვაი თუ დაგეკარგოს. მერე პასპორტი გაუწოდა კრილას.

— სანამ ტვირთს გავაფორმებ, შენ ბეჭედი დაასმევინე.

დარბაზის შესასვლელთან რომ მივიდა, კრილას გახედა. ის ისევ ავტომანქანასთან იდგა, ჩანთაში რაღაცას ეძებდა და იმ დროს, როცა მზიდავს ავტომანქანიდან ჩემოდნები გადმოჰქონდა, ის ცრემლებით დანამული ცხვირსახოცით თვალებს წამდაუწუმ იმშრალებდა.

კლაივმა სიგარა გააბოლა. სიგარეტის ცხელმა და მწარე ბოლმა ისედაც გამომშრალი ყელი უფრო აუწვა. „ნეტავ მაგარი სასმელის ერთი ყლუპით მაინც გამასველებინა ყელი, ახლა, მეტი არაფერი მინდა", ფიქრობდა იგი. ქუსლით სიგარა გასრისა და ბილეთის გასაცემ სარკმელთან რიგში ჩადგა. როდესაც ბილეთის საქმე მოაგვარა, სატვირთო სასწორთან ბარგის მზიდველი მონახა. აწონილ ჩემოდნებს იარლიყები დააწებეს და კონვეიერზე დაალაგეს. კლაივი მე-9 გასასვლელთან იყო მისული, როცა დატვირთულმა კონვეიერმა ვერდზე ჩაუარა. დიქტორმაც სწორედ იმ დროს გამოაცხადა ბაქანზე გასვლის დრო.

— ყველაფერი რიგზეა! — უთხრა ცოლს და ბილეთი გაუწოდა.

— ეს კი ტვირთის ქვითარია, როდესაც ჩახვალ, საბაჟოდან ამით მიიღებ ბარგს. გესმის, არ დაკარგო!

ის ელოდებოდა, რომ მისი ცოლი ისევ გადმოანთხევდა შეკავებული ცრემლების ახალ ნაკადს, მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლდა და დაწყნარდა. კრილა გაუბედავად შეიშმუშნა, თითქო რაღაცის თქმა უნდაო, მერე მხრები აიჩეჩა, ამოიოხრა, შებრუნდა და მგზავრებს უკან მიჰყვა; თვითმფრინავამდე მისასვლელად ავტობუსი ელოდებათ. ვაჟი ბარს უახლოვდება, როცა კრილას ძახილი შემოესმა.

ის მკვეთრად შებრუნდა და შეეცადა დაჭიმული ნებისყოფა კიდევ მეტად მოეკრიბა.

— დაგაგვიანდება! — კბილებში გამოცრა. — ეშმაკმაც დაგლახვროს, კიდევ რაღაც ახალს გამოიგონებდი.

ქალმა უსიტყვოდ შეაჩეჩა ხელში კონვერტი. შებრუნდა და გასასვლელისაკენ თითქმის სირბილით წავიდა. ვაჟმა კი კონვერტი ჯიბეში ჩაიჩმუჭნა და ბარისაკენ გასწია.

ორი ულუფა ვისკი ერთად გადაჰკრა და მხოლოდ მესამის შემდეგ მოვიდა გონს.

თავის მანქანასთან რომ მივიდა, ცოტახანს შეიცადა, სანამ თვითმფრინავი გრიალით თავზე გადაუვლიდა. მერე კი მანქანა აეროპორტის ტერიტორიიდან გასასვლელისკენ აუჩქარებლად წაიყვანა.

ორის თხუთმეტი წუთია. იმ შემთხვევაში, თუ ის ოხერი იმოქმედებდა, სრული ერთი საათილა იყო დარჩენილი. მხრები მოუთმენლად აიჩეჩა. ეჭვი რატომ უნდა შეჰპარვოდა? ძვირფასი განძეულის ზარდახშაში ხომ შვეიცარული ქრონომეტრი, სწრაფად მომქმედი ამფეთქებელი და შვიდი გირვანქა ასაფეთქებელი ნივთიერება ჩადო. თვითმფრინავს ნამცეცებად აქცევს და ზემო სავოიეში მიმოფანტავს. ვინ იცის, მე რომ უკვე მოხუცებული ვიქნები, იქნებ ექსპერტებმა მაშინაც იმტვრიონ თავი დღევანდელი კატასტროფის მიზეზების გამოკვლევაზე.

საინტერესოა, რა ვითარებაში გაიგებს ახალ ამბავს. კარგი კი იქნებოდა, თუ ისეთ დროს აცნობებენ, როცა შინ იქნება. ისინი გაიგონებენ და დაიხსომებენ როგორ საშინლად დაიყვირებს, შეხედავენ როგორ გაფითრდება, — გაფითრება კი როგორმე უნდა მოახერხოს, — მერე ტელეფონს მივარდება, გაიგოს — ვინმე დარჩა ცოცხალი თუ არა? ამას ყველაფერს ისე გაითამაშებს, როგორც ყოველთვის. ახლა მით უმეტეს, ჯილდო მეტად მაღალია: დაზღვევის თანხა თხუთმეტი ათასი დოლარი... და... ელა.

დახედა საათს. შვიდი წუთიღა იყო დარჩენილი, ის კი ვინჩესტერს უახლოვდებოდა; ეტყობა, ძალიან სწრაფად მიჰქრის. ლონგლანდში ადრე ჩასვლა სულაც არ არის საჭირო. მით უმეტეს, იქ დამშვიდებული უნდა მივიდეს. მაშ აქსელერატორს ფეხი მოაცილა და მანქანა გზაზე, ხესთან გააჩერა. კიდევ სამი წუთი...

სიგარეტის ამოსაღებად ხელი ჯიბისკენ წაიღო. ხელში წერილი მოხვდა, დიახ, კრილას წერილი. კონვერტზე დაეჯღაბნა: „კლაივს". ნეტავ კიდევ რა მოისაზრა? ალბათ, ისევ ძველებურად უკრავს „იქნებ, ყველაფერი ხელახლა დავიწყოთ? თუკი ორივე მოვინდომებთ, ჩვენი ქორწინებაც სანანებლად არ გაგვიხდება..." და ასე შემდეგ... უკვე გვიანაა, ჩემო კარგო, ძალიან გვიანაა.

ერთი წუთიღა იყო დარჩენილი. წაუკითხავად დავწვა? არა, იმის გულის უკანასკნელ ამონაკვნესს ერთხელ კიდევ გადავავლებ თვალს. კონვერტი გახსნა. წერილი სულ რამდენიმე სტრიქონისაგან შესდგებოდა:

„ყველაფერს ვაკეთებდი, რაც კი შემეძლო, კარგად იცი, ყველაფერს, უკანასკნელ წუთამდე. მაგრამ მეტი ძალა აღარ შემწევს. მე აღარ დავბრუნდები. გაიხაროს ელამ: თავისას მიაღწია.

კრილა".

უცებ ბოლოში მინაწერს მოჰკრა თვალი:

„შენი საჩუქრებიდან არცერთი არ მიმაქვს. ძვირფასი განძეულის ზარდახშა მანქანის საბარგო განყოფილებაში დაგიტოვე".

სწორედ იმ დროს, როცა აფეთქება გაისმა, კლაივი კარის სახელურის ძებნაში, ხელს გიჟივით აფათურებდა.

თარგმანი თამარ ღვინიაშვილისა

...სახ. საჯ. სახ...



პ. ყურაშვილი

# პედიატრიის ინსტიტუტში

ჩვენს ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა ადამიანის ჯანმრთელობის დაცვას. დღითიდღე იზრდება სამკურნალო დაწესებულებების — საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, სამშობიარო სახლების ქსელი. ყოველწლიურად დიდდება სახსრები ახალი სამკურნალო კერების ასაშენებლად.

დიდი ხანი არ არის, რაც საქართველოს სამკურნალო დაწესებულებებს შეემატა პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (დირექტორი დოცენტი პ. ყურაშვილი). მისი გახსნისათვის **ნიადაგი მომზადებული იყო. რესპუბლიკაში პედიატრიის კადრების** ზრდამ და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების სიმრავლემ დააყენა ერთიანი ხელმძღვანელი ცენტრის — ინსტიტუტის გახსნის აუცილებლობა.

საბჭოთა პედიატრიის ყოველმხრივი განვითარება, კლინიკური და ექსპერიმენტალური გამოკვლევებით მისი გამდიდრება — აი, რა არის ამ სამეცნიერო დაწესებულების მთავარი ამოცანა.

სამეცნიერო-კვლევით მუშაობასთან ერთად ინსტიტუტი დაეხმარება ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს როგორც საორგანიზაციო-პრაქტიკული საქმიანობით, ასევე პედიატრთა კადრების დახელოვნებით.

ინსტიტუტში თერთმეტი განყოფილებაა: საორგანიზაციო-მეთოდური, ბავშვთა კვების, სასკოლო ჰიგიენის, ფიზიოლოგიის, ჰიგიენის და ადრეული ასაკის ბავშვთა აღზრდის, ნორმალური და პათოლოგიური ფიზიოლოგიის, პროფილაქტიკისა და უფროსი ასაკის ბავშვთა თერაპიის, ახალდაბადებული და უდღეური ბავშვის პროფილაქტიკის და თერაპიის, ბავშვთა ნერვოლოგიის, ბავშვთა ინფექციის, ბავშვთა ქირურგიის.

ამ განყოფილებებს გარდა ინსტიტუტს აქვს კლინიკო-დიაგნოსტიკური, ბაქტერიალური და ბიოქიმიური ლაბორატორიები.

ძირითადი პრობლემა, რომელზეც აქ მუშაობენ, ეს არის „ბავშვის ორგანიზმის ასაკობრივი თავისებურებანი ნორმასა და პათოლოგიაში" და „ბავშვის ჯანმრთელობის დაცვა". ამ საკითხებზე მუშავდება კლინიკური, ექსპერიმენტალური და ორგანიზაციულ-მეთოდური ხასიათის ოცდაათზე მეტი სამეცნიერო შრომა.

დღიდან დაბადებისა სრული ასაკის მიღწევამდე ბავშვები რომ ფიზიკურად ჯანმრთელნი იზრდებოდნენ, რომ მათ არ აწუხებდეს არავითარი დაავადება, არ იცოდნენ რა არის რაქიტი ან ბრონქიალური ასტმა, ინსტიტუტში ინერგება აღზრდისა და მკურნალობის ახალი მეთოდები.

ბავშვის დაბადებისთანავე ისმება საკითხი — აკვანში გაიზრდება ის თუ უაკვნოდ. სამწუხაროდ, საქართველოს რაიონებში ჯერ კიდევ არის შემორჩენილი ჩვილის აკვანში გაზრდა. მაგრამ აკვანი ხომ საზიანოა ბავშვისათვის, აფერხებს მის ნორმალურ ფიზიკურ განვითარებას! ეს ერთერთი საკითხია იმ საჭირბოროტო საკითხებიდან, რომლებსაც აქ შეისწავლიან.

ინსტიტუტის თანამშრომლები იკვლევენ ერთ წლამდე ასაკის ბავშვში ჰიპოტროპიული დაავადებების გამომწვევ მიზეზებს, აზუს-

ტებენ ჰიპოტროფიისა და რაქიტის კომპლექსური მკურნალობის საკითხებს სამკურნალო ვარჯიშისა და ულტრაიისფერი გამოსხივების საშუალებით.

ბავშვთა რევმატიზმი დიდი ხანია იქცევს მეცნიერთა ყურადღებას. რევმატიზმის შედეგად ვითარდება გულისა და სისხლძარღვთა სისტემის საგრძნობი პათოლოგიური ცვლილებები. კლინიკური და ექსპერიმენტალური ფიზიოლოგიის განყოფილების ამოცანაა შეისწავლოს გულისა და სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციონალური მდგომარეობის დინამიკა რევმატიზმის დროს. დაკვირვებისათვის სტაციონარში იმყოფება რევმატიზმით დაავადებული ორმოცდაათამდე ბავშვი.

საუბრისას დირექტორმა პიმენ ყურაშვილმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ მთელი რიგი მეცნიერული და ემპირიული დაკვირვებებით დადგინდა კურორტ წყალტუბოში რევმატიზმით დაავადებულთა მკურნალობის შედეგიანობა, მაგრამ, დღესდღეობით ასეთი ეფექტური მკურნალობის მექანიზმები მთლიანად ნათელი არ არის. მათი მიზანიც ისაა, რომ შეისწავლონ წყალტუბოს მინერალური წყლების სამკურნალო მოქმედების ფიზიოლოგიური მექანიზმები.

მიუხედავად თანამედროვე თერაპიის მიღწევებისა, პნევმონიის შემთხვევები რაქიტით დაავადებულ უმცროსი ასაკის ბავშვებში ჯერ კიდევ დიდია. ხშირად პნევმონია რაქიტით დაავადების მძიმე



რენტგენის კაბინეტის გამგე ექ. ნ. დავითნიძე და ლაბორანტი ლ. ვაჭარაძე

ფორმისას მიმდინარეობს დუნედ, გაჭიანურებულად, თანდართული გართულებებით (კარნიფიკაცია, ბრონქიტი და სხვა.).

უმცროსი ასაკის ბავშვთა პათოლოგიის განყოფილება და ბიოქიმიური ლაბორატორია შეისწავლიან რაქიტის შემთხვევაში ბავშვთა პნევმონიასა და ზემო სასუნთქი გზების დაავადებას.

ბრონქიალურ ასტმას ბავშვთა პათოლოგიაში საკმაოდ დიდი ადგილი უკავია. სრული განკურნება ასტმისაგან ძნელია, ზოგ შემთხვევაში კი შეუძლებელი. უფროსი ასაკის ბავშვთა პათოლოგიის განყოფილება ამუშავებს ასტმით დაავადებულ ბავშვთა ისტორიებს. რეციდივების ე. ი. შებრუნების თავიდან ასაცილებლად, მიზანშეწონილია დაავადებული ბავშვის საკურორტო-სანატორიული წესით



კლინიკო-დიაგნოსტიკური ლაბორატორიის ხელმძღვანელი მედ. მეცნ. კანდიდატი ე. ვ. ორლოვა-ჩხეიძე

მკურნალობა ბაკურიანსა და შავი ზღვის სანაპიროზე. ეს სამუშაო პრაქტიკული მნიშვნელობისაა და მიღებული შედეგები იძლევა მკურნალობის ეფექტური მეთოდების დაზუსტების საშუალებას.

ზოგად-საგანმანათლებლო სკოლებში ახალი საწარმოო სწავლების დანერგვამ ერთგვარად შეცვალა სასწავლო გეგმა და მოსწავლის რეჟიმი. სოფლად უფროსი კლასების მოსწავლეთათვის გათვალისწინებულია ჩაის, ყურძნისა და თამბაქოს კრეფის სამუშაოები. ინსტიტუტის სასკოლო ჰიგიენის განყოფილება შეისწავლის შრომის ჰიგიენას და დღის რეჟიმის შემუშავებას მოზარდთა მუშაობისას ჩაის პლანტაციაში.

საკითხები ძალიან ბევრია, ყველა ძალზე საინტერესო და აქტუალური, მათი ძირფესვიანი შესწავლა და მის საფუძველზე სამკურნალო მეთოდების დადგენა ახალი მიღწევებით გაამდიდრებს საბჭოთა მედიცინას.

აქ ყველაფერი ამ მიზანს ემსახურება — კაბინეტები, ლაბორატორიები, აქ ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველა ბავშვი გაიზარდოს ჯანსაღ, სიცოცხლით სავსე, მხნე ადამიანად.

ლია კაკაბაძე



უფროსი მეც. მუშაკი მედ. მეცნ. კანდიდატი ქ. ჭყონია, უმცროსი მეცნ. მუშაკი ნ. მგალობლიშვილი და ჩვილ ბავშვთა პათოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი მედ. მეცნ. კანდიდატი თ. ა. მითაიშვილი



# მასწავლებელი

ის ლაპარაკობს უმნიშვნელო საგნებზე, მერე კი ნელა, სულ ნელა ოთახში შემოდის მთვარიანი ღამეები და ვარდისფერი ატმები. ხმას უწევს, თითქმის ჩურჩულებს. ყვება წარსულზე. თურმე მაშინ 16-17 წლის ყოფილა მხოლოდ.

ჩვენ თაობას რევოლუციისა და სამოქალაქო ომების გმირული ეპოქა აღაფრთოვანებდა. იყო დიდი ენთუზიაზმი და რწმენა, რომ თვითეული მათგანი დიდ საქმეს აკეთებდა. ასეც იყო. სულ ახალგაზრდა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ცოდნით შეიარაღებული, გორის რაიონის სოფელ სკრის გლეხი ახალგაზრდობის სკოლაში გეოგრაფია-ბიოლოგიის მასწავლებლად წასულა. მოსწავლეები გრძელფარაჯიანი გლეხები იყვნენ, გუშინ ისწავლეს ანბანი და ახლა ნაწნავებიან გოგონას უსმენდნენ მთების, მდინარეების, ქვეყნების ამბავს...

ზამთრის გრძელ ღამეებში ჭრაქის შუქზე ის წერა-კითხვას ასწავლიდა დიასახლისებს, მოხუცებს. მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სოფლად წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას.

შემდეგ გადმოდის გორში, მუშაობს და თან სწავლას აგრძელებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური განყოფილების საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. ჰქონდა ცოდნის შეძენის არაჩვეულებრივი სურვილი და მონდომება. უფრო გვიან გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების გეოგრაფიულ ფაკულტეტსაც ამთავრებს. ეს იყო უკვე დიდი სამამულო ომის შემდეგ. ამ წლებამდე მთელმა ეპოქამ გაიარა.

ერთდროს თვალებნაპერწკლიანი გოგონა დღეს სერიოზული, ჭირგამოვლილი ქალია, მთელს ქალაქში ცნობილი მასწავლებელი, ერთერთი მოწინავე საზოგადოებრივი მუშაკი. იგი ათეული წელია სათავეში უდგას განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულების მუშაკთა პროფკავშირის გორის საქალაქო კომიტეტს. პროფკავშირულ მუშაობაში ჯერ კიდევ სკრაში ჩაება, როდესაც რამდენიმე სოფლის პროფკავშირული გაერთიანების თავმჯდომარედ აირჩიეს. მერე გორშიაც დაუბრუნდა თავის საზოგადოებრივ საქმიანობას. რამდენჯერმე პროფკავშირების რესპუბლიკურ და საკავშირო ყრილობების დელეგატად აირჩიეს.

1945 წელს ნადია გელდიაშვილი პარტიის რიგებში შევიდა. ის არის პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრი. მრავალი წლის უმწიკვლო მუშაობისათვის დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება, გორის საქალაქო საბჭოს მრავალი მოწვევის დეპუტატია.

მის ოთახში ძველი სურათი ჰკიდია. ნაწნავები კეფაზე აქვს დახვეული ნადიას, კოპლებიანი ზედატანი აცვია და მუქი ქვედატანი. გამოხედვა რბილია, ფიქრიანი...

— მაშინ მიყვარდა, — ამბობს.

ეს იყო ბევრი წლების იქეთ. იმ პირველი სიყვარულის ანარეკლი ახლაც დგას ნადიას ცხოვრებაში. გათხოვდა, მერე დაიწყო ომი. გაერთიანდა დღე და ღამე.. ლოდინი, ფიქრი, სიზმრები... მერე დაჭრილი სამკურნალოდ გამოგზავნეს სამშობლოში. ომი დასასრულს უახლოვდებოდა, და გამოჯანსაღებული ქმარი ფრონტისაკენ მიიწევდა ისევ... გაამზადეს ყველაფერი, საღამოს უნდა გაეცილებინა, მაგრამ დილით უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა იგი. სხვისი გადარჩენისას მანქანამ იმსხვერპლა.

— შვილი მაინც დამრჩენოდა, — იტყვის ხანდახან. მაგრამ მასწავლებლები ხომ ამ დანაკლისს შედარებით ნაკლებად გრძნობენ.

ასეა ისიც. სხვის ბავშვებთან ტრიალებს და ისინი თავისად მიაჩნია. ეს აძლევს მის ცხოვრებას მიზანს და სხვებზე ზრუნვაში საქმე, რომელსაც აკეთებს, უადვილდება.

**ცისანა ჟორჟოლიანი**

# წითელა

პატარა ნათია თავს დილიდანვე შეუძლოდ გრძნობდა, მაგრამ შუადღით სიცხემ რომ აუწია, ველარ მოითმინა და ბებიას შეეხვეწა დედიკოსთვის დაერეკა.

— რა ვქნა? — მოსვლისთანავე იკითხა დედამ და ბავშვს მიუალერსა.

— ძმრით დავზილოთ! — სთქვა ბებიამ.

—ექიმს არ დავუძახოთ?

— არა, დედილო, ექიმი არ მინდა! — ატირდა ნათია.

დედა საგონებელში ჩავარდა.

ორი დღის შემდეგ პატარა ნათიას ლოყებზე მცირე წითელმა ლაქებმა ქატოსავით გამოაყარა.

ბებიას გულზე მოეშვა, დედაც გამოცოცხლდა და წამლების შესაკვეთად გაიქცა, მაგრამ წითელა არც ისე იოლი ავადმყოფობა აღმოჩნდა, როგორც დედას ეგონა.

მეოთხე დღეს ავადმყოფს ტანზეც გამოაყარა. ხველა გაუძლიერდა და სიცხემ ორმოცამდე აუწია.

ბავშვმა ჭირვეულობა დაიწყო.

— წითელით დაავადებულს ყველაფერს უსრულებენ, — თქვა ბებიამ.

— ბებია!

— რა იყო, შვილო?

— მამიკო როდის მოვა?

— მამიკო? — იკითხა ბებიამ და თვალებზე ცრემლი მოადგა. მაგრამ სახეშეშუპებულ ბავშვს თვალი რომ შეავლო, ალერსიანი ხმით უპასუხა — მოვა, მალე მოვა!

ნათიამ ერთი კი ამოიოხრა და სახით კედლისკენ მიტრიალდა...

დედამ ბავშვს საჩუქრები და ტკბილეული მოუტანა.

ნათიამ ხელი არაფერს ახლო.

— მაშ, რა გინდა, შვილო?

— მამა... მამა მენატრება! — სუსტი ხმით წარმოსთქვა ნათიამ და თვალები ცრემლებით აევსო.

დედა შეკრთა. წამით დაფიქრებული იჯდა. მერე წამოდგა და წასასვლელად მოემზადა.

— საით? — ჰკითხა ბებიამ

— ბავშვის ამბავი უნდა შევატყობინო.

გარეთ წვიმდა. დედა მიდიოდა ჩქარა, თითქმის სირბილით. „ოღონდ შენ გადამირჩი, შვილო, და ნებით რომ არ წამოვიდეს, ძალით მოვიყვან“, — ბუტბუტებდა გზადაგზა.

ასე გაიარა მან კარგა მანძილი, უკან მოიტოვა ხიდი და ვიწრო შესახვევში ორსართულიან სახლს მიადგა. აჩქარებით შეამოწმა მობინადრეთა სია და ზემო სართულზე რამდენჯერმე დარეკა.

არავინ უპასუხა.

ქუჩაში გამოვიდა. „რა ვქნა, წავიდე თუ დაველოდო“, — ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო.

სწორედ ამ დროს შენობის წინ მანქანა გაჩერდა. ლამაზი ქალი და მამაკაცი გადმოვიდა. მამაკაცს ხელში შეფუთვნილი ბავშვი ეჭირა სათუთად.

დედა გაქვავებულივით შეცქეროდა. რას ფიქრობდა იგი ამ დროს, ძნელია თქმა, გონს რომ მოვიდა, ყრუ ქვითინი წასკდა და უკან გაბრუნდა.

წვიმა კი კოკისპირულადასხამდა, ქარი წიოდა. თვალწინ ედგა უცხო ქალი და ნათია. მერე თვალებზე ხელი აიფარა და სირბილით გასწია სახლისკენ.

**ვ. გაგუა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი საოჯახო კლუბი

# დისპეპსია

ბავშვთა ასაკში, განსაკუთრებით კი ძუძუმწოვრებში, ხშირია კუჭ-ნაწლავის დაავადება მწვავე მოშლილობის სახით, რომელიც ცნობილია დისპეპსიის (ფაღარათი) სახელწოდებით. სიტყვა „დისპეპსია" ნიშნავს მოუნელებელს. როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, ამ დაავადების დროს არ ხდება საკვების ნორმალური მონელება.

დისპეპსიით უფრო ხშირად ხელოვნურ კვებაზე მყოფი ბავშვები ავადდებიან. დისპეპსია ორი სახისაა: მარტივი ანუ უბრალო და ტოქსიკური. უბრალო დისპეპსია კუჭ-ნაწლავთა აშლილობაა, მაგრამ მას თან არ სდევს კვების დაქვეითება და ცნობიერების მოშლა.

უბრალო დისპეპსიის გამომწვევი მიზეზი მრავალია: ზედმეტი ან ნაკლები საჭმლის მიცემა, მიზანშეუწონელი კვება (გადამეტებული ფქვილეულით, ფაფების ადრე დანიშვნით, გადაჭარბებული ცხიმოვანი საკვებით და ნახშირწყლებით, ზოგჯერ —ვიტამინების ნაკლებობით და სხვ). დისპეპსია შესაძლებელია განვითარდეს ინფექციური დაავადების — ანგინის, გრიპის, აგრეთვე ფილტვების ანთების შედეგად. დისპეპსიის განვითარებას ხელს უწყობს ზაფხულის სიცხე, ორგანიზმის გადახურება, სანიტარულ-ჰიგიენური წესების დარღვევა და სხვ.

ავადმყოფობა შეიძლება დაიწყოს შეუმჩნევლად, თანდათანობით ან პირიქით — ერთბაშად, მაშინვე კვების შემდეგ, ან ნახევარი საათის შემდეგ. ბავშვს ეწყება ღებინება ან ამოქაფება აჭრილი რძის სახით. ამოქაფება თანდათანობით ძლიერდება და გადადის ნამდვილ ღებინებაში. ამასთან ერთად ჩნდება დისპეპსიური განავალი. კუჭი მოქმედებს დღეღამეში 5-10 ჯერ, განავალი თხელია და ლორწოიანი. მას აქვს მჟავე სუნი და მომწვანო ფერი. დასაწყისში, სანამ განავალი გამწვანდებოდეს, შიგ თეთრი წინწკლები ურევია და დაკეპილ კვერცხს წააგავს. განავლის გახშირებასთან ერთად ძლიერდება გაზების გამოყოფა. ბავშვი მოუსვენარი ხდება, ხშირად ტირის, საჭმელზე უარს ამბობს. მიუხედავად ამისა, ბავშვის საერთო მდგომარეობა ნაკლებად იცვლება, ცნობიერება არ ეცვლება, აქვს ცოცხალი გამომეტყველება, არ კარგავს ინტერესს გარემოს და სათამაშოების მიმართ.

ბავშვი წონაში მცირედ იკლებს. ტემპერატურა ჩვეულებრივად ნორმალურია, ზოგჯერ კი ოდნავაა მომატებული. მუცელი მეტად გაბერილია, გასინჯვით მგრძნობიარე, ისმის ყურყური. დისპეპსიის პირველი ნიშნების შემჩნევისთანავე უნდა გამოვუძახოთ ექიმს.

მკურნალობა იწყება წყლის დიეტის დანიშვნით (125-150 მლ. წყალი ბავშვის კილოგრამ წონაზე). წყლის დიეტა გრძელდება 6-12 საათის განმავლობაში.

წყლის დიეტის დამთავრების შემდეგ ბავშვს ენიშნება ქალის რძე — გამოწურული და გაციებული. პირველ დღეს 1-2 ჩაის კოვზი ყოველ საათში, მეორე-მესამე დღეს, მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად, ბავშვი შეიძლება გადავიყვანოთ ძუძუზე. ძუძუ ეძლევა 3 საათში ერთხელ, 3-5 წუთით.

ხელოვნური კვების შემთხვევაში, თუ ქალის რძე ვერ ვიშოვეთ, ავადმყოფს შეიძლება მივცეთ დო, რძე, გაწურული მაწონი, კეფირი განზავებული ბრინჯის ნახარშით. დაავადებული ბავშვისათვის საჭიროა სუფთა ჰაერი, თბილი აბაზანები, სათბურები.

დროული და სათანადო მკურნალობით მარტივი დისპეპსია ადვილად იკურნება, მკურნალობის დაგვიანების შემთხვევაში კი შესაძლებელია გადავიდეს ტოქსიკურ ფორმაში.

**ტოქსიკური დისპეპსია** კუჭ-ნაწლავის მოშლილობის ყველაზე მძიმე ფორმაა.

ტოქსიკურ დისპეპსიას ახასიათებს ცნობიერების დაბინდვა. ბავშვი კარგავს თავის ჩვეულ ცოცხალ გამომეტყველებას და გარემოსადმი ინტერესს, იყურება სადღაც შორს უსიცოცხლო, უმოძრაო თვალებით. თვალები ჩაცვენილი და ჩალურჯებული აქვს, გუგები შევიწროებული, ცხვირი გაწვეტიანებული, კანს გადაკრავს მიწისფერი, მოლურჯო ელფერით. იგი ვერ არჩევს გარშემო მყოფთ და ვერავის ვერ ცნობს. ზოგჯერ ემართება კრუნჩხვები, უნებლიე მოძრაობები, სიელმე და სხვა. ბავშვს მუცელი შებერილი აქვს, პირის ღრუს ლორწოვანი გარსი წითელი, ენა — მშრალი, მუქი ფერის ნადებით. ტოქსიკური დისპეპსიის დროს სუნთქვა გახშირებულია, წარმოებს უპაუზოდ, ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა ერთიდაიგივე სიღრმისაა. ბავშვს ეწყება შეუჩერებელი ღებინება, აღებინებს არა მარტო საჭმლის, არამედ წყლის მიღების შემდეგაც და ხშირად ცარიელ კუჭზეც. ზოგჯერ პირნაღებ მასაში ურევია სისხლი. კუჭ-ნაწლავის მოქმედება ხშირი აქვს — დღე-ღამეში 15-20 ჯერ. განავალი მეტად თხელია, მოყვითალო-მომწვანო ფერის და ღარიბია განავლოვანი მასებით. ბლომად შეიცავს ლორწოს, ცხიმის წვეთებს, ზოგჯერ სისხლს და ჩირქსაც.

წყლის დიდი რაოდენობით დაკარგვის გამო ბავშვი წონაში მკვეთრად კლებულობს, 500-1000 გრ რამდენიმე დღეში. ამ დაავადების თითქმის მუდმივი სიმპტომია ტემპერატურის მომატება. ხელოვნურ კვებაზე მყოფ ბავშვებს ტემპერატურა შესაძლებელია ნორმაზე დაბალი ჰქონდეთ. პულსი ხშირდება და ოდნავ შესაგრძნობი ხდება, შარდის გამოყოფა მცირდება, ზოგჯერ წყდება.

ტოქსიკური დისპეპსიის დროს ბავშვს შეიძლება დაემართოს ფილტვების ან შუა ყურის ანთება, ფურუნკულოზი, სერიოზული მენინგიტი და სხვა. ტოქსიკური დისპეპსიის ხანგრძლივობა 7–10 დღეა. ზოგჯერ შესაძლებელია დაავადება 21 დღესაც გაგრძელდეს. ტოქსიკური დისპეპსია მეტად მძიმე დაავადებაა და მისით გამოწვეული სიკვდილიანობა საკმაოდ დიდია. მის მკურნალობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია წყლის დიეტას. ამით ბავშვის ორგანიზმს დავიცავთ წყლის დაკარგვისაგან და დავასვენებთ კუჭ-ნაწლავის ტრაქტს.

წყლის დიეტით მკურნალობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ავადმყოფის საერთო მდგომარეობაზე. უფრო ხშირად მკურნალობა გრძელდება 6–10 საათის განმავლობაში. ბავშვს სითხე ეძლევა 125-150 მლ მისი წონის თვითეულ კილოგრამზე. ძლიერი ღებინების შემთხვევაში წყალი ეძლევა ხშირად და მცირე რაოდენობით. ძლიერი ღებინების დროს უკეთდება წვეთობრივი ოყნა ფიზიოლოგიური ხსნარით.

წყლის დიეტის შემდეგ საუკეთესო საშუალებაა გამოწველილი ქალის რძის მიცემა. რძე უნდა იყოს ცხიმმოხდილი და გაციებული. პირველ დღეს ეძლევა 1-2 ჩაის კოვზი ყოველ ორ საათში, მეორე-მესამე დღიდან 2-3 ჩაის კოვზი და ა. შ. თუ ბავშ-

# ბოსტნეული ადამიანთა ჯანმრთელობის საწინდარია

მოდით, ვისაუბროთ ბოსტნეულზე.

იმ ბოსტნეულზე, რომელსაც ყოველდღიურად ვხვდებით ბაღ-ბოსტნებში, ბაზარზე და მაღაზიებში.

ხშირად კი არ ვიცით, რა დიდი მნიშვნელობა აქვს მას ჩვენი ჯანმრთელობისათვის.

დავფიქრდეთ: ვიყენებთ თუ არა ბოსტნეულს სრულფასოვნად? გადავსინჯოთ ჩვენი ოჯახის ყოველკვირეული მენიუ.

ამ საუბრის ინიციატორი გახლავთ ჩვენი ჟურნალის მუდმივი მკითხველი ქობულეთიდან, მზარეული, ამჟამად პენსიონერი სტეფანე გეგია, რომელიც თავის საქმიან შენიშვნებს, კულინარულ რჩევასა და მითითებებს ხშირად აწვდის რედაქციას.

ს. გეგიას წერილის გარდა, გაგაცნობთ აკადემიკოს ზელინსკის საუბარს „მედიცინსკი რაბოტნიკის" კორესპონდენტთან და მცენარეთა მცოდნე ბ. ბიკოვის სტატიებს.

## ნუ დაივიწყებთ ფხალეულს

მზარეული სტ. გეგია

ქართული სუფრა ნაირფეროვანი და გემრიელი საჭმელებითაა განთქმული. და ამ ნაირფეროვნებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფხალეულს. სამწუხაროდ, ბოლო დროს ბევრმა დიასახლისმა უმართებულოდ გამორიცხა თავისი ოჯახის მენიუდან ეს სასარგებლო კერძი. ბევრ ოჯახში სადილს სადილად არ თვლიან, თუ კერძი ხორცისაგან არ არის დამზადებული.

მინდვრის ფხალს კი უდიდესი სარგებლობა მოაქვს ადამიანის ორგანიზმისათვის, რადგან მრავალი, სხვადასხვა მცენარისაგან შედგება. მის შემადგენლობაში შედის: თავშავა, ბოჩხა, ნარა, ქინძილოჯა, ია, წიწმატი, ჯინჭარი, ფშალა და სხვა.

არ არის სავალდებულო ყველა ზემოთ დასახელებული მცენარე შეგროვდეს. შეიძლება ამათგან ორი-სამი გამოაკლდეს. ერთი კილოგრამი ასეთი ფხალი, გარჩეული და კარგად გარეცხილი, მოხარშეთ თავდახურულ ქვაბში. დუღილის ხანგრძლივობა: გაზაფხულის ნაყოფისათვის 20-30 წუთი, შემოდგომის ნაყოფისათვის კი 30-40 წუთი. მოხარშული ფხალი გაწურეთ და გასაგრილებლად სუფთა გობზე დაყარეთ. დააყარეთ წმინდად დაჭრილი 100 გრ ხახვი და 50 გრ ოხრახუში. დანაყეთ 100 გრ ნიგოზი, 2 კბილი ნიორი. ცალკე დანაყეთ 5 ძირი ქინძი, სამი ძირი ოხრახუში, ცოტა ცერეცო, მარილი და წიწაკა — გემოვნებით. დანაყილი მასალა ერთმანეთში შეურიეთ, მერე აზილეთ ცოტა ფხალის განაწურ წვენში (თუ გსურთ ძმარში ან ბროწეულის წვენში). ეს საკმაზი აურიეთ გაწურულ ფხალში, ოღონდ ძალიან არ შეზილოთ. ფხალი მზადაა, გაუსინჯეთ მარილი და სიმქავე, თუ აკლია — მიუმატეთ.

ასევე კეთდება წითელი ფხალიც. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ თუ 1 კილოგრამ მინდვრის ფხალს ზემოთჩამოთვლილი საკმაზი სჭირდება, ეს საკმაზი ორ კილოგრამ წითელ ფხალს ეყოფა, ოღონდ საკმაზს კიდევ მიუმატეთ 50 გრ ნიგოზი. ფხალი ძირებიანად უნდა მოიხარშოს, ამიტომ დუღილის ხანგრძლივობა 10-15 წუთით გადიდდება.

ასეთივე პროცენტული შეფარდებით კეთდება ბოსტნეულის ფხალიც: ქათანაცარა, მოლოქა და მჟავია (არა მჟაუნა), ჭინჭარი. თუ 200 გრ კამასაც მიუმატებთ (არა ცერეცოს), ფხალი უფრო გემრიელი გამოვა. ბოსტნის ფხალი უნიგვზოდაც შეიძლება გაკეთდეს გაზაფხულზე, როცა ახალი ტყემალია შემოსული. ფხალს გემოვნებით უზამთ ტყემალს, საკმაზი კი იგივეა, რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ, ოღონდ დაემატება ქინძის რაოდენობის მეოთხედი ცერეცო და სულ ცოტა ომბალო.

ფშალას და სკალას ფხალი ისევე კეთდება, როგორც წითელი ფხალი. მხოლოდ ფშალას ფხალს 10 წუთით მეტი დუღილი ჭირდება. სკალას ფხალის საკმაზს დაუმატებთ ცერეცოს და ქონდარს (ომბალო აღარაა საჭირო).

თუ სკალას ფხალს ახალი ტყემლით გააკეთებთ, შეაზავეთ თუთუნივით წმინდად დაჭრილი ახალი ნივრის ფოთლით. ამ შემთხვევაში ომბალო კარგია. ომბალო დანარჩენ საკმაზთან ერთად დანაყეთ.

## როგორ შევინარჩუნოთ ახალგაზრდობა

აკად. ზელინსკი

მუდმივი ახალგაზრდობის საიდუმლოება იმაში მდოგმარეობს, რომ ორგანიზმის უჯრედები მოვამარაგოთ ისეთი საკვებით, რომელიც სისხლ-ძარღვებსა და არტერიებში არ დატოვებს მავნე დანალექებს (რაც იწვევს პადაგრას, რევმატიზმს, ათეროსკლეროზს და სხვა). სწორედ ამიტომ, ნაკლებად უნდა მივიღოთ ხორცი, მარილი და პური, რაც შეიძლება მეტი — ისეთი საკვები, რომელიც შეიცავს ორგანულ სიმჟავეს, ასეთია: ყურძენი, ქლიავი, მანდარინი, ვაშლი, ლიმონი, ფორთოხალი. ორგანული სიმჟავე სპობს არტერიებში მავნე დანალექს, არბილებს და აფართოებს სისხლძარღვებს და აუმჯობესებს გულის მუშაობას.

---

ვის მდგომარეობა გაუმჯობესდა, შესაძლებელია მას ძუძუც მივცეთ (3-5 წუთით), შემდეგ კი უნდა გადავიყვანოთ სხვა საკვებზე.

თუ ქალის რძე ვერ ვიშოვეთ, ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია ბავშვს მივცეთ მაწონი, ბრინჯის ნახარში, დო, რძე და სხვა.

წყლის დიეტის შემდეგ 1 წლის ასაკის ზევით ბავშვებში კარგია ვაშლის დიეტის დანიშვნა. ვაშლი უნდა იყოს უმი, გათლილი და გახეხილი, თითო კვებაზე 100-200 გრამი. დღის განმავლობაში ვაშლი ეძლევა 800 გრამიდან 1 კილოგრამამდე. მედიკამენტებს დაუნიშნავს ექიმი.

**როგორ დავიცვათ ბავშვი დისპეპსიისაგან.** ყველა დედა ვალდებულია ახსოვდეს, რომ დისპეპსიისაგან ბავშვის დაცვაში მთავარი როლი მას ეკუთვნის. დედამ უნდა იცოდეს ბავშვის მოვლის და აღზრდის წესები, უნდა იცნობდეს ჰიგიენის ზოგად კანონებს, მან უნდა შესძლოს ბავშვს შეუქმნას ჯანსაღი გარემო.

ბავშვის კვება წესიერად, რეჟიმის მიხედვით უნდა წარმოებდეს. საკვების ხარისხი და რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის ასაკს. ბავშვი ყველაზე კარგად ინელებს დედის რძეს, შედარებით ცუდად ძროხის რძეს. ხშირად ძროხის რძის მიცემა იწვევს საჭმლის მონელების მოშლას. საჭმლის მონელების მოშლის დროს კი კუჭ-ნაწლავში იქმნება მიკრობების გამრავლების პირობები.

დედის რძე ბავშვს ზაფხულში არ უნდა შევუწყვიტოთ, რადგან ყველაზე უფრო ამ პერიოდშია შესაძლებელი დისპეპსიით დაავადება. ბავშვი მეტხანს უნდა იმყოფებოდეს ჰაერზე, ოღონდ უნდა გვახსოვდეს, რომ მზეზე ხანგრძლივად ყოფნა არ არის სასარგებლო. ბავშვს უნდა გავუკეთოთ აბაზანები — ეს აკაჟებს ორგანიზმს.

უნდა ვებრძოლოთ ბუზებს, სუფთად შევინახოთ საცხოვრებელი ადგილი, ეზო. ზაფხულში ფანჯრები უნდა ავბადოთ. ბავშვის ჭურჭელი, კოვზი, საწოვარი, სათამაშოები უნდა ინახებოდეს დახურულ ჭურჭელში ან შეხვეული უნდა იყოს სუფთა დოლბანდში და ხმარების წინ დაიმდუღროს.

საკვები უნდა დამზადდეს სუფთად. ხილი და ბოსტნეული გულდასმით უნდა გაირეცხოს და გადაევლოს ანადუღი წყალი.

დედები ვალდებული არიან მჭიდრო კავშირი ჰქონდეთ ბავშვთა კონსულტაციებთან, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში გაუწევენ მათ სათანადო დახმარებას.

**რუსუდან დარსაველიძე,**

**მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.**

გნებავთ, გაიგოთ როგორ აიცილოთ თავიდან ნაადრევი სიბერე? როგორც კი იგრძნობთ მოხუცებულობის ნიშნებს, მაშინვე დაიცავით სამთვიანი დიეტა: ერიდეთ ხორცეულს, რძეს, პურს. ჰოდა, ისევ გაახალგაზრდავდებით და გამოჯანმრთელდებით.

რა არის ორგანიზმისათვის სასარგებლო? უპირველეს ყოვლისა, **ნიორი და ხახვი.** ესენია ყველაზე მძლავრი ანტისეპტური საშუალებანი. იმ წამლის მაგიერ, რომელიც არჩენს, მაგრამ ამასთან ერთად ანადგურებს კიდეც ადამიანის ორგანიზმს, მიიღეთ დღეში 5-6 გრამი ნიორი. აი, ეს დაიცავს ორგანიზმს მოხუცებულობისაგან. ნიორი სპობს ადამიანის ორგანიზმში ბაქტერიებს, კურნავს ანგინას, უხდება პადაგრას და რევმატიზმს. ნიორი იცავს ორგანიზმს საერთო ათეროსკლეროზისა და ტვინის სკლეროზისაგან.

**ხახვი** აუმჯობესებს სასუნთქი ორგანოების მუშაობას, წმენდს ბრონქებს, არჩენს ხველასა და გრიპს. ხახვით ძალიან გართულებული ხველის მორჩენაც შეგიძლიათ, თუ ასე მოიქცევით: თეთრი ხახვი დაკეპეთ, მოათავსეთ თიხის ჭურჭელში, ბლომად მოაყარეთ დანაყილი შაქარი, ერთხანს გააჩერეთ და შემდეგ გამოყოფილი ხახვის წვენი სვით სუფრის კოვზით ყოველ საათში, სანამ ხველა არ შეგიჩერდებათ.

გრიპის მორჩენა სამი ნაცადი ხერხით შეიძლება:

1. თეთრი ხახვი განივად გაჭერით ორად და მაგრად შეისუნთქეთ ხან ერთი და ხან მეორე ნესტოთი. შემდეგ გადმოაფურთხეთ. ლორწოს თან გამოყვება გრიპის ბაცილები.

2. ნესტოები შეიზილეთ ცხიმიანი ბამბით.

3. ჭამეთ წვრილად დაკეპილი ხახვი არაჟნით.

**ხტაფილო** შესანიშნავი საშუალებაა რევმატიზმისა და პადაგრის წინააღმდეგ. ის შეიცავს ვიტამინ „ა"-ს და ენერგიას მატებს ადამიანს. დღეში ორი საშუალო სიდიდის ხტაფილოს მიღება აუცილებელია.

**ბოსტნეულის სალათი** ნამდვილად უკვდავების წამალია. სადილი უეჭველად ბოსტნეულის სალათით უნდა დაიწყოთ.

**თალგამი და მიწამხალა** ამაგრებს ყელსა და ბრონქებს.

**ასკილი** ენერგიასა და ჯან-ღონეს მატებს ორგანიზმს. ხშირად ის კარგ შედეგს იძლევა ჰიპერტონიის მკურნალობისას.

**შავი მოცხარი** შეიცავს რკინას. იხმარება როგორც გრიპის საწინააღმდეგო მძლავრი საშუალება.

**ნიგოზი** კუნთებს მატებს ძალას.

**ფორთოხლის წვენი** აუმჯობესებს მხედველობას და ამაგრებს ღრძილებს. ფორთოხალი ბევრ სახამებელსა და შაქარს შეიცავს. ის აღადგენს ნერვულ სისტემას, ხელს უწყობს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, კარგად წარმართავს სისხლძარღვების მუშაობას, არჩენს იარებს, იცავს ორგანიზმს ინფექციისაგან. ერთი სიტყვით, ახანგრძლივებს სიცოცხლეს. ფორთოხლის წვენის მიღება კარგია დილით, უზმოზე, დღეში უნდა მიიღოთ 1 ჭიქა.

# ლობიოს შესახებ

ბ. ბიკოვი

იცით თუ არა თქვენ, რა სასარგებლოა ლობიო? ის შეიცავს ნახშირწყლებს, ცილას, და, წარმოიდგინეთ, ცხიმსაც! სიმწიფეში შესული ლობიო მდიდარია „ბ" ჯგუფის ვიტამინებით.

ლობიო მდიდარია აგრეთვე ისეთი ძვირფასი მინერალური მარილებით, როგორიცაა კალიუმის და ფოსფორის მარილი. უნდა ვიცოდეთ, რომ კალიუმის მარილი განსაკუთრებით სასარგებლოა გულ-სისხლძარღვთა დაავადებისას.

საინტერესოა, რომ ლობიო შეიცავს ისეთ ნივთიერებებს, რომლებიც აფერხებენ ათეროსკლეროზის (ხანშიშესულ ადამიანთა შორის ამ მეტად გავრცელებულ დაავადების) წარმოშობას. წინათ სახალხო მედიცინაში დაფქულ ლობიოს კანს მოაყრიდნენ ხოლმე — კანის დაავადების დროს. ლობიოს ხმარობდნენ აგრეთვე შაქრის ავადმყოფობის (დიაბეტის) დროსაც.

ერთი სიტყვით, ლობიო ძალიან სასარგებლოა. ლობიოსაგან კერძის დამზადება კი საქართველოში ყველა დიასახლისმა იცის. ამიტომ ხშირად უნდა მივირთვათ ლობიოვისაც როგორ სურს: ნიგვზით თუ ერბოკვერცხით, ზეთით თუ ძმრით, კირკაჟად თუ ამოლესილი...

# სასარგებლო ბოსტნეული

ალბათ, ძნელად მოიძებნება ადამიანი, ვისაც არ უყვარს ბადრიჯანი. არადა, თურმე რა სასარგებლო ყოფილა! ბადრიჯანს ერთი ძვირფასი თვისება ჰქონია (ეს ამბავი დიდი ხანი არაა, რაც დაადგინა მეცნიერებამ) — თურმე მას შეუძლია შეამციროს სისხლში ქოლესტერინის რაოდენობა. ქოლესტერინის არსებობა სისხლში კი მეტად არასასიამოვნო მოვლენაა. აი, სწორედ ის არის მოხუცებულობის, სკლეროზის გამომწვევი მიზეზი. ამის გამო, ბადრიჯანს სამკურნალო კვებაში გამოიყენებენ.

ბადრიჯანი შეიცავს „ბ" და „ც" ჯგუფის ვიტამინებს და კაროტინს, რომელიც ჩვენს ორგანიზმში ვიტამინ „ა"—დ გარდაიქმნება. მინერალური მარილებიდან ბადრიჯანში ჭარბობს კალიუმის მარილები, რომლებიც ძალიან რგებს სისხლძარღვთა სისტემას. ბადრიჯანი შეიცავს აგრეთვე ძვირფას მინერალურ მარილს — ფოსფორის მარილს.

საინტერესოა ერთი რამ: ბადრიჯანს ერთწლიან მცენარედ იცნობენ. ბოსტნებში სწორედ ეს ერთწლიანი ბადრიჯანი ხარობს. სინამდვილეში კი ბადრიჯანი მრავალწლოვანი მცენარეა. მისი სხვადასხვა ჯიშები, განსაკუთრებით კი წვრილნაყოფა, ძალიან ადვილად შეგვიძლია ოთახშიც გავახაროთ. ბადრიჯანი პატარა ბუჩქად იზრდება და თუ მას ქოთანში მოვათავსებთ, მრავალი წლის განმავლობაში შეგვიძლია მივირთვათ ამ სასარგებლო ბოსტნეულის ადრეული ნაყოფი.

# გაუმარჯოს ნიორს!

ჯერ კიდევ უძველეს დროში ნიორი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ყველა ხალხში. არ გაინტერესებთ, რაშია საქმე?

თურმე ნიორი მარტო გემრიელი და მადის მომგვრელი სანელებელი კი არ ყოფილა. მას რა ხანია იყენებენ მძლავრ სამკურნალო საშუალებად ბევრი დაავადების წინააღმდეგ! ნიორს ლებულობდნენ დაღლილობის დროს და დაღლილობა ქრებოდა, ნიორს იყენებდნენ როგორც კარგ აღმგზნებ საშუალებას, იდებდნენ კბილზე კბილის ტკივილის დროს, უნიშნავდნენ ტუბერკულოზით დაავადებულებს, საჭმლის მომნელებელი ორგანოების აშლისას, ჭიების გამოსადევნად და ორგანიზმში ქვებისა და ქვიშის წარმოშობის ასაცილებლად.

ახლა მეცნიერებამ დაადგინა, რომ ნიორს მართლაც ჰქონია ბევრი სამკურნალო თვისება. ნივრისაგან დამზადებული სპირტიანი წამალი-ალილსატი, რომელიც აფთიაქებში იყიდება, იხმარება ათეროსკლეროზის, კოლიტისა და კუჭ-ნაწლავის მოდუნების დროს. აქროლადი ნივთიერებანი, რომელსაც ნიორი გამოყოფს, ხელს უწყობს იარების შეხორცებას. ამათგან იღუპება სხვადასხვა დაავადების გამომწვევი მიკრობები. საინტერესოა, რომ დანაყულ ნიორს შეუძლია 280 საათის განმავლობაში ხოცოს მიკრობები.

ნიორი აუმჯობესებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, სტიმულს აძლევს გულის მუშაობას.

მაგრამ ნიორის ღირსება მარტო ამით არ თავდება! თუ გარჩეულ ნივრის კბილებს ხორბლის ან ბურღულის ტომარაში მოვათავსებთ, ეს დაიცავს მათ ჭიებისაგან და ხოჭოებისაგან. დანაყილი ნივრის კბილები კარტოფილს იცავს დაზიანებისაგან. 100 კილოგრამი კარტოფილის შესანახად საკმარისია 100 გრამი დანაყილი ნიორი.

ნივრის წვენი გახმობის შემდეგ სიმაგრით წებოს არ ჩამოუვარდება. ამით შეიძლება შევაწებოთ ფაიფურისა და მინის ნაწარმი. ასეთ წებოს ცივი წყალი ვერაფერს დააკლებს.

თუ ბოსტანში ხენდროსა და მარწყვის კვლებში ნიორს დავრგავთ, ის დაიცავს მათ მავნებლებისაგან.

# მშრალი კანის მოვლა

კანის სიმშრალეს ცხიმის ჯირკვლების ფუნქციის შესუსტება იწვევს. კანი ცხიმს მუდამ ერთნაირი რაოდენობით არ გამოყოფს. ეს მერყეობა დამოკიდებულია ორგანიზმის საერთო მდგომარეობაზე. ცხიმის ჯირკვლების ფუნქციის შესუსტება შეიძლება გამოიწვიოს: ნერვული სისტემის აშლილობამ, ვიტამინ „ა"-ს ნაკლებობამ, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების (ფარისებრი და საკვერცხე) ფუნქციის მოშლამ, კუჭ-ნაწლავის დაავადებამ, ურეჟიმო კვებამ და სხვა. ცალკე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ განსაზღვრულ ასაკში ამ მიზეზების გარეშეც, კანი კარგავს თავის ცხიმიანობას და შრება.

კანის სიმშრალეს იწვევს აგრეთვე სხვადასხვა გარე ფაქტორები: ქარის, მზის სხივების მოქმედება, ტემპერატურის მკვეთრი მერყეობა, ცხელ ღუმელთან მუშაობა, საპნითა და წყლით სახის ხშირად ბანვა.

როგორ დავიცვათ კანი სიმშრალისაგან?

მშრალი კანის დაბანა უმჯობესია კვირაში ერთხელ საღამოს, ოთახის ტემპერატურის მქონე ანადუღარი წყლით. წყალს შესარბილებლად შეიძლება დაუმატოთ გლიცერინი (1 ჩაის ჭიქა წყალზე 1 სუფრის კოვზი გლიცერინი).

მშრალი კანი ცუდად იტანს საპონს. საპნის მაგივრად შეიძლება იხმაროთ ნუშის ქატო, რომელიც მდიდარია ცხიმით. 1 სუფრის კოვზ ნუშის ქატოს დაუმატებთ ნადუღ ცხელ წყალს ისე, რომ მიიღოთ ფაფისებური მასა. ამ მასას წაისვამთ სახეზე და დატოვებთ 10-15 წუთით. სახეს მოიბანთ ოთახის ტემპერატურის ანადუღარი წყლით.

კარგია სახის დაბანა შავი პურის გულით. პურის გულს დაუმატებთ რძეს ან წყალს ისე, რომ მიიღოთ ფაფისებური მასა. წაისვამთ სახეზე და 10 წუთის შემდეგ მოიბანთ წყლით.

სახის დაბანა შეიძლება კვერცხის გულით, ძროხის ან თხის რძით (1/3 რძე და 2/3 წყალი), აგრეთვე ლანოლინის, ნუშის და სპერმაცეტის რძით.

თუ კანი ვერ იტანს დაბანას, გაიწმინდეთ ის ლუსიონებით. ქვემოთ გთავაზობთ სამი სახის ლუსიონს:

1. მკვებავი ლუსიონი: $^4/_2$ ჩაის ჭიქა ნაღები, 1 კვერცხის გული, 1 ლიმონის წვენი, 2 სუფრის კოვზი პურის არაყი.

მომზადება: კვერცხის გული ათქვიფეთ და თანდათანობით დაუმატეთ ლიმონის წვენი. შემდეგ არაყი და ბოლოს — ნაღები.

2. ლანოლინის რძე: 1 ჩაის კოვზი უწყლო ლანოლინი, 1/2 ჩაის კოვზი საპნის ფხვნილი ან კრემი, 1 ჩაის ჭიქა წყალი.

მომზადება: ლანოლინი მოათავსეთ ფაიფურის ჯამში. 1 ჩაის ჭიქა წყალს დაუმატეთ 1/2 ჩაის კოვზი საპნის ფხვნილი და თანდათანობით დაასხით ჯამში მოთავსებულ ლანოლინს, ურიეთ, ვიდრე რძის მაგვარ სითხეს არ მიიღებთ.

3. თაფლის ლუსიონი:

5 გრ თაფლი, 5 გრ გლიცერინი, 20 გრ ოდეკოლონი, 2 გრ ბორაკი, 63 გრ წყალი.

ზემოთ ჩამოთვლილი ლუსიონებით სახის გაწმენდის შემდეგ, 1-2 საათით წაისვით მკვებავი კრემები: „ლანოლინის", „სპერმაცეტის", ან „ნუშის".

დიდი სარგებლობა მოაქვს მშრალი კანისათვის ვიტამინის, პარაფინის და სპერმაცეტის კოსმეტიკურ ნიღბებს.

ვიტამინის ნიღბები:

1. 1 ჩაის კოვზი თაფლი და 1 კვერცხის გული.

2. 1სუფრის კოვზი ატმის ზეთი და 1 კვერცხის გული.

3. 100 გრ თაფლი და 1 ლიმონის წვენი.

რომელიმე ამ ნიღაბს დაიდებთ სახეზე 15-20 წუთით და შემდეგ მოიბანთ წყლით.

ვიტამინის ნიღბები მზადდება ხილისაგანაც (ქოლო, ხენდრო, მარწყვი, ლიმონი, ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ატამი, საზამთრო, ნესვი). რომელიმე ნაყოფი დაჭყლიტეთ ან დაფხიკეთ და დაიდეთ სახეზე 20-25 წუთით. შემდეგ სახე გაიწმინდეთ ნაყოფის სითხეში დასველებული ბამბის ტამპონით და წაისვით მკვებავი კრემი.

მშრალ, მოდუნებულ და ნაოჭიან კანს ძალიან უხდება ვიტამინის, პარაფინის და სპერმაცეტის ნიღბები.

აქედან მხოლოდ ვიტამინის ნიღბებს გაიკეთებთ სახლში. პარაფინისა და სპერმაცეტის ნიღბებს კოსმეტიკურ კაბინეტში იკეთებენ. მხოლოდ ერთი უნდა შეინიშნოს: პარაფინისა და სპერმაცეტის ნიღბების გაკეთება გულ-სისხლძარღვთა დაავადებისა და ჭარბთმიანობის დროს არ შეიძლება.

შესაძლებელია კანის სიმშრალის დროს სახის რომელიმე ნაწილი (ცხვირი, ნიკაპი, შუბლი ან ლოყები) იყოს ცხიმიანი ეს ცხიმიანი ადგილები ღამით უნდა გაიწმინდოთ შემდეგი სითხეებით:

1). ბორაკი — 3 გრ, ოდეკალონი — 40 გრ, წყალი — 57 გრ.

2.) ბორაკი — 3 გრ, ოდეკალონი ან არაყი — 97 გრ.

3). ცილის რძე (ამის მომზადება იხ. „საბჭოთა ქალის" № 12, 1960 წ.).

ზოგჯერ ცხვირი და ნიკაპი ჭარბცხიმიანობის გამო დაფარულია ფერმჭამლებით. ეს ადგილები უნდა გაიწმინდოს ქაფურის, სპირტისა და წყლის ნარევით (1:1) ან ჰოფმანის წვეთები (1 წილი ეთერი 2 წილ სპირტზე).

კანის სიმშრალის დროს, როცა კანი დაფარულია წითელი ლაქებით და იქერცლება, არ შეიძლება ორთქლის აბაზანის მიღება, ელექტრო უთოსა და დარსენვალის გაკეთება — ამ პროცედურებმა შეიძლება კანის მეტი გაღიზიანება გამოიწვიოს.

ყინვების, ქარისა და ძლიერი სიცხის დროს საჭიროა სახლიდან გამოსვლის წინ სახეზე წაისვათ მკვებავი კრემის თხელი ფენა.

კანის სიმშრალის დროს უნდა მივიღოთ ვიტამინ „ა"-თი მდიდარი საკვები (ღვიძლი, კვერცხის გული, თევზის ქონი, ახალი კარაქი, რძე, შაქარი, პამიდორი, სტაფილო). ვიტამინ „ა"-ს უნიშნავენ კონცენტრატის (2-3 წვეთი შავი პურის ნატეხზე დაწვეთებული, დღეში სამჯერ, ჭამის წინ ან ჭამის დროს) ან დრაჟეს სახით (თითო დრაჟეს დღეში სამჯერ მიიღებთ 1 ან $^1/_2$ თვის განმავლობაში. 2-3 თვის შესვენების შემდეგ მკურნალობა შეგიძლიათ გაიმეოროთ.

გარდა ზემოთაღნიშნული გარეგანი საშუალებებისა, მშრალი კანის დეფექტური მკურნალობისათვის საჭიროა ამ სიმშრალის წარმომშობი მიზეზების მოსპობა.

ექიმი-კოსმეტოლოგი,
ვ. დოლიძე-ცხოვრებაშვილი.

რედაქტორი თ. აბაშიძე.

სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.

მხატვრული რედაქტორი ლ. შენგელია. ტექ. რედაქტორი ქ. დემუროვა.

რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26VI/-61 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორმათა რაოდ. 5,3.

რედაქციის მისამართი—სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 3-68-71.

ტირაჟი 45.000. ფასი 30 კაპ.

შეკვეთის № 1087 უე 03176

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал

Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ლეგენდა სიმღერაზე

## მესხური თქმულება

პატარა მესხურ სოფელში, მიწურ ბანიან სახლში, ცხოვრობდა ერთი ასული, სახელად ეთო. მთელი მესხეთი ლაპარაკობდა ეთოს სიტურფეზე. მის სიმღერას სულიერი თუ უსულო ყველა აღტაცებაში მოჰყავდა.

ხშირად მღეროდა ასული, დილით მზის ამოსვლას ასწრებდა მისი სიმღერა, საღამოს კი — მთვარისას. მღეროდა ეთო და მისი სიმღერა უცნაური ძალით ატყვევებდა მსმენელს. იგი უმღეროდა სიცოცხლეს, სიყვარულს, რომელსაც ასულის გულიც შეებყრო და დაემონებინა. სიმღერის დროს ეთოს თვალწინ ედგა სატრფო, ესმოდა მისი ალერსიანი ჩურჩული. ეს მოგონება ქალს ღაწვებს წითლად უფერადებდა, ნეტარებით თენთავდა, მაგრამ ქალწულურ კდემას მაშინვე გონს მოჰყავდა. სახეალეწილი წყაროსკენ გარბოდა, რომ ემღერა, ემღერა და დარდი გაექარვებინა.

ერთხელ ეთომ კოკა მხარზე შეიდგა და ფეხშიშველმა ბილიკი ჩაარბინა. კოკა წყაროს თვალს შეუყენა და ის იყო, ლერწამივით აშოლტილი ტანი კოკის სიმძიმის ქვეშ დაიზნიქა, რომ წყაროში კენჭი ჩავარდა, ცივმა შხეფებმა ქალი შეათრთოლა, ბეჭებზე შოტლებივით დაყრილი თმები შეარხია... თმოგვის ციხის ქვემოთ, პიტალოზე წაბლისფერთმიანი ჭაბუკი მონადირე შემომდგარიყო. ლირკილოებით შემკული ლაგზუბუნი შვენოდა ტანმაღალს, ლამაზ თვალებში ბედნიერების შუქი ჩადგომოდა.

— ბექა!

— ეთო!

ერთსა და იმავე დროს ამოხდა ორივეს და მათ შეძახილს ძირს დაცემული კოკის მსხვრევის ხმა შეუერდა.

— მიყვარხარ, ჩემო სიცოცხლევ!— ჩურჩულებდა ქალი და მკლავებგაწვდილი წინ მიიწევდა.

— მიყვარხარ! — ეხმაურებოდა ჭაბუკი და ნელნელა ეშვებოდა ქალისაკენ. „მიყვარხარ" — გუგუნებდა მიწაც და მზის ცხელ სხივებს გულში ისვენებდა. მოზღვავებულმა გრძნობებმა ქალს ბაგე აუცახცახა და მისდაუნებურად სიმღერა ამოხდა. ხმა გაკმიდა მიდამომ, სული შეიგუბა ცამ და ქვეყანამ. ნეტარებისაგან ათრთოლდნენ მთებზე გადმოკიდებული ლოდები. იხრებოდა სატრფოსკენ ჭაბუკი და ძლიერდებოდა, ვნებიანი ხდებოდა სიმღერა. ჭაბუკს ცეცხლს უკიდებდა. მწველი იყო ძალა სიმღერისა მწველი და... ჭაბუკი დაიწვა, ფერფლად იქცა. შეტოკდა ქალწული... მუხლებზე დაეცა, თორმეტი ნაწნავი გულმკერდზე ჩამოიშალა და დალალებით ფერფლს მოგროვება დაუწყო. ერთი ნაპერწკალი ჩარჩენილიყო... ნაპერწკალს ალი ავარდა, ქალის თმას მოედო და ისიც იქვე დაიფერფლა.

ორი მიჯნურის ფერფლი სიმღერად მოჰფინა მთის ნიავმა ქვეყანას.

ნუნუ მესხი


6 12/2128
ეროვნული
ბიბლიოთეკა